№ 2997
სამშაბათი,
7 თებერვალი

# ცნობის ფურცელი

№ 2997
სამშაბათი,
7 თებერვალი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის და ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს

## „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

**ფასი გაზეთისა:**

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით 6** მან. **ერთის თვით 50 კაპ.**

საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით 11** მან. **ერთის თვით 1 მან.**

**გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება**

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

„ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

**პუპი ელიშულის ასული, ანტონ მაქსიმეს ძე, მართა გრიგოლის ასული მუჯირენი, დარია ჩიგოგიძისა, მარიამ გორდელაძისა და ელენე ჯანაშიასი** გულითადად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პატივცემულ პირთ, ვინც ჩვენ მწუხარებაში მონაწილეობა მიიღეს პირადად, წერილობით თუ დეპეშებით ჩვენს დუვიწყარის ქ. ოდესაში მოკლულის მეორე კურსის სტუდენტის

## ექვთიმე (ხარიტონი) მაქსიმეს ძე მუჯირის

უდროოდ დაკარგვის გამო, რომელიც მოსვენებულ იქნა ქ. ოზურგეთში 28 დეკემბერს და დასაფლავებულ სამშობლო სოფელ მაკვანეთში 30 დეკემბერს, (1—1)

ელისაბედ გიორგის ასული და შვილნი მისნი: სიმონ, პავლე, ივანე, ლავრენტი, კირილე, სერაფიონი და ანდრონიკე გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი უძვირფასეს მეუღლისა, ხოლო დანარჩენნი—საყვარელ მამისა,

## მღვდელი მიტროფანე მიქაძისას,

უმორჩილესად სთხოვენ მობრძანდნენ განსვენების დღეს, რომელიც დანიშნულია 7 თებერვლისათვის, სამშაბათს, სოფ. ქოლობიანს, საკუთარ სახლში და მით ანუგეშონ მწუხარებაში მყოფნი ქირისუფალნი. (1—6.—1)

ფორტეპიანოს ოსტატი და მომწყობი

## გ. ლ. ხარიმჩაროვი

(ლორის-მელიქოვის ქუჩა, ფოსტის, სახლი ზუბალოვისა № 6)

რომელიც პეტერბურგის ცნობილ ფაბრიკებზე მუშაობდა, მათ შორის

## შრედერის და ბეკერის

გამოჩენილს ფაბრიკებზე და რომელიც ი. ა. სუხანაჯიანის მუსიკალურს მაღაზიასთან არის, იღებს სამუშაოს. სახელოსნოში მიიღება ყველა კონსტრუქციის პიანინოსა და ფორტეპიანოს შეკეთება, აგრეთვე ყველაგვარ სამუსიკო იარაღისა და გრამმოფონებისა. კარგად საქმის გაკეთებისთვის პასუხს ვაგებ. (2—2)

## ვისაც სურს

სახლი ააშენოს, ან უკვე აშენებული სახლი გადააკეთოს გემოიანად, იაფად და მკვიდრად, ვკისრულობ ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას ყველასათვის ხელმისაწვდომ პირობებით. ვიღებ სახაზავ საქმეებსაც.

მსურველმა მომმართოს: 1) სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლის ეზოში, Бюро „Сотрудникъ"-ის კონტორაში, ტელეფონი № 60, ან 2) ჩუღურეთში, გონჩარნი ქუჩაზე, საკ. სახლი № 28.

(10—6—2) ტეხნიკოსი **გიგო თოიძე.**

ტფ. თათარ-სომეხთა შეტაკების დროს

## დაიკარგა მილიციონერი

**ივანე ანდრიას ძე ტორიკაშვილი.** 23 წლისა, საშუალო ტანისა, შავგრიმანი, შავთვალ-წარბა, შავ წვერ-ულვაშებიანი. ვინც რამ იცის ან გაიგოს იმის შესახებ, ვთხოვ მაცნობონ მე, იმის ძმას სიმონ ანდრიას ძე ტორიკაშვილს, „ცნობ. ფურ." რედაქციის ადრესით.

P. S. ვთხოვ ადგილობრივ სომხურ და აგრეთვე თათრულ გაზეთებს გადაჰბეჭდონ ეს ჩემი განცხადება. (უ. 6—3)

გ. გადილაძის წიგნის მაღაზიაში

## იყიდება

ავალი თანამედროვე წიგნები რუსულ და ქართულ ენებზე.

წიგნის მაღაზიის ადრესი: ტფილისი კიროჩნის ქ. № 7. (10—9)

## ა. პ. შულგინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

## ქალაქ ბათუმში

**ექვთიმე ბერძენიშვილი და ახილეს დიმიტრიადი** ყიდიან საუკეთესო აბრეშუმის თესლს ხრისტოდულიდის ფირმისას და იმათ აქვს საწყობი ქ. ბათუმში ქუთაისის გუბერნიისათვის, რამდენიც საჭირო იქნება. ს ხრისტოდულიდი. (8—7)

მედიცინის დოქტორი

**მ. ი. მურადოვი**

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (51—368—55)

ექიმი

**გ. ა. გედალინი**

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვერენიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—6.—29)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ექიმი

**პ. ა. არდაზიანი**

იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა (19—9)

ექიმი

**მ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—$11\frac{1}{2}$ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი

**მ. პ. ბეზირგანოვი**

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—$7\frac{1}{2}$ საათზედ. (თვ.—22)

კბილის ექიმი

**ივანე პ. ახალშენიშვილი**

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

### ტფილისი, 7 თებერვალი.

ას წელიწადზე მეტია, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, მაგრამ ამის მიუხედავად დღემდე არავითარი ზნეობრივი კავშირი არ არის რუსის და ქართველ ხალხის შორის. კავკასიელი ბიუროკრატები, რომელთაც ეკუთვნოდათ დღევანდლამდე მონოპოლია საზოგადო ინტერესებისთვის მოქმედებისა, არაფერს არ აკეთებდნენ ზნეობრივის კავშირის შესაქმნელად და, პირიქით, არაფერი არ დაუზოგავთ ეროვნულ განკერძოვების გასამზადებლად და გასაღრმავებლად. ეს არც საკვირველია. რუსეთის ბიუროკრატიის პრინციპი საზოგადოებრივ თვით-მოქმედების უარყოფაა და, სადაც თვით-მოქმედება არ არის, იქ არც ზნეობაა, არც ზნეობრივი კავშირი. ბიუროკრატიას ყოველთვის ესმოდა, რომ ეროვნებათა სხვა და სხვაობა დიდ-მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელმაც აუცილებლად გავლენა უნდა იქონიოს მმართველობის პოლიტიკაზე, მაგრამ იმის თვალში ეს რთული საკითხი მეტად მარტივად გადასწყდა: ბიუროკრატიამ განიზრახა თვით ამ სხვა და სხვაობის მოსპობა და ქართველ ხალხის გათქვეფა. შემუშავდა თეორია რუსიფიკატორულ პოლიტიკისა და ამ თეორიის მიხედვით სწყდებოდა ბიუროკრატიულ სფერებში ყოველივე საკითხი. ამ თეორიამ დაჰგმო ჩვენთვის ნაფიც მსაჯულთა სამართალი და ერობა, ამ თეორიამ გააჩინა შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლების საქმე, ამ თეორიამ აკრძალა ქართველებისთვის შავის ზღვის ნაპირებზე უძრავ ქონების შეძენა, ამ თეორიამ მოსთხოვა ქართველს ხალხს სასამართლოში, სკოლაში, საადმინისტრაციო დაწესებულებებში და ეკკლესიაში რუსული ენის ხმარება და სხვა.

ნაყოფი ან, უკეთ რომ ვთქვათ, უნაყოფობა რუსიფიკატორულ პოლიტიკისა მეტად ცხადია. მაგრამ, აი ბიუროკრატიის მრავალ-სართულიანი შენობა შეტორტმანდა, შეირყა და საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე ახალი საზოგადოებრივი ძალები გამოვიდნენ. ამოძრავდა გონება, გაჩაღდა თავისუფალ აზრის მუშაობა და ქართველმა ინტელიგენციამ პირველმა სცადა ხალხის გულში სოლიდარობის გრძნობის ჩანერგვა. „ხალხის განთავისუფლება თვითმპყრობელ ბიუროკრატიისაგან მოითხოვს, რომ ქართველმა ხალხმა ძმურად ჩასჭიდოს ხელი რუსის ხალხს და ორთავემ ერთად გასწიონ მძიმე ჰაპანი თავისუფლებისთვის ბრძოლისაო"—ხმა მაღლა ჰქადაგებდნენ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში. ეს სიტყვა მეგობრულის კავშირისა პირველად მოესმა ქართველის ხალხის ტანჯულს ყურს, სათილისმო მალამოსავით მოხვდა იმის გატეხილ გულს, გაუმთელა იგი და ამ გვარად ჩაიდგა საძირკველი ზნეობრივი კავშირისა.

ერთა შორის სოლიდარობის აზრმა თავი იჩინა საზოგადოებრივ თვითმოქმედების პირველ საფეხურზედვე. პოლიტიკანების ფიქრი, ვითომც თვითმოქმედება ეროვნულ განხეთქილებას გამოიწვევდა, მტრობას გააჩენდა და საქართველოში მცხოვრებ რუსებს განსაცდელში ჩააგდებდა, ეს ფიქრი გაცრუვდა, კაუქმდა. დამტკიცდა რეალურ ფაქტებით და არა რგოლისმებით, რომ ქართველი ხალხი არც რუსებს და არც სხვა რომელსამე ეროვნებას არ უცქერის მტრულად, დამკიცდა, პირიქით, რომ იგი მოწადინებულია ნამდვილი და მიმქმედი კავშირი იქონიოს მათთან. იქაც, კი, სადაც არამკითხე სტუმრები განზრახ სცდილობდნენ წყლის ამღვრევას და ეროვნულ შუღლის ჩამოგდებას, არაფერი არ მომხდარა სახიფათო და შემაფიქრებელი; მიუხედავად სააგენტოს დეპეშისა, ვითომც საქართველოს ერთ კუთხეში ქართველები და თათრები ურთი-ერთის წინააღმდეგ აღშფოთებულიყვნენ, მეგობრული კავშირი მაინც არ დარღვეულა და სოლიდარობის გრძნობა მაინც არ შელახულა.

მებრძოლი მოწინააღმდეგენი ჩვეულებრივ უნებურად ითვისებენ ერთი ერთმანეთისაგან ბრძოლის ტაქტიკას, თუ მთლად არა, რამოდენადმე მაინც. განმათავისუფლებელ მოძრაობის მეთაურებმაც ისესხეს ცოტა რამ თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ტაქტიკისაგან; ეს სესხად აღებული ტაქტიკა შეეხება, სხვათა შორის, ერთა ერთიანობას. ბიუროკრატია უარყოფდა საერთოდ ხალხის თვითმოქმედებას, იგი სცდილობდა გაეთანასწორებინა ყველა ერები უმოქმედობით და ყურმოჭრილობით, იმის მიზანს შეადგენდა ერთა სხვადასხვაობის აღმოფხვრა; განმათავისუფლებელ მოძრაობის მეთაურებმა განიზრახეს აემოძრავებინათ ხალხის თვითმოქმედება, ყველა ერები გაეთანასწორებინათ ამ თვითმოქმედებით, ხოლო სხვადასხვაობა ერებისა და მათის მოქმედებისა კი მოესპოთ საერთო თვითმოქმედებით. როგორც ბიუროკრატია ხელმძღვანელობდა იმ ფიქრით, რომ არავითარი განმასხვავებელი ელფერი არ ჰქონოდა თვითოეულ ერის ცხოვრებას, ისე მოძრაობის მეთაურნი სცდილობდნენ სრული ერთ-ფეროვნება მიეცათ ყველა ერის მოქმედებისთვის. როგორც ბიუროკრატია უცქეროდა გულგრილად თითოეულ ერის განმასხვავებელ ხასიათს, ისე მოძრაობის მეთაურნი სცდილობდნენ ერთს ყალიბში ჩამოესხათ ყველა ერის მისწრაფება და ტაქტიკა.

ეს სესხად აღებული ტაქტიკა იგულისხმებს ბიუროკრატიისაგან ნასესხებს აზრს, ვითომც ეროვნებათა მოსპობა რაღაც ისტორიულ საჭიროებას შეადგენდეს და უმაღლეს იდეალის განსახორციელებლად იყოს საჭირო. ყველამ ვიცით, რა ნაყოფი მოიტანა ჩვენი ხალხისთვის ამ ნასესხებმა ტაქტიკამ. გული გვტკივა, მაგრამ სიმართლე არ უნდა დაიფაროს. თავისუფლებისთვის საბრძოლველად გამზადებული ხალხი მხოლოდ იმ დრომდე ეჩვენებოდა ქვეყანას თავგანწირულ გმირებად, ვიდრე ბიუროკრატიამ პირისპირ არ დაუყენა მას თავისი ძალა. ბიუროკრატიის ძალამ უეცრივ გასტეხა ხალხის წინანდელი გადაწყვეტილება და... წაიკითხეთ, რას იწერებიან ჩვენი აწიოკებული სოფლებიდან, თქვენ თითონ დაინახავთ, რა ფასი ჰქონია მყვირალა ენერგიას.

პირველის შეხედვით ეს მეტად უცნაური ამბავი ძალიან მარტივი ასახსნელია. ჩვენებური მეთაურები ხალხს რუსის ხალხის, განსაკუთრებით პროლეტარიატის სახელით ჰპირდებოდნენ გამარჯვებას; ქართველ ხალხს თავისთვის თითქო არაფერი არ უნდოდა. პირველ დაწყებით სკოლებშიაც კი ქართულის ენის შემოღება არა ჰსურდა,—იმას მხოლოდ ის უნდოდა, რასაც რუსის პროლეტარიატი და გლეხობა თავისთვის ითხოვდა. ქართველს ხალხს ისეთი არაფერი მიზანი არ გააჩნდა, რისთვისაც მხოლოდ იმას უნდა ებრძოლა და არა სხვებს იმის გულისთვის. განა საკვირველია, რომ ასეთს პირობებში ასე საჩქაროდ, ასე გამალებით უარჰყო ხალხმა თავისი გადაწყვეტილება?!

ბიუროკრატიისაგან ნასესხები აზრი ეროვნებათა ურთიერთობის შესახებ და ამ აზრზე დამყარებული ტაქტიკა ერთფეროვანებისა—უარყოფილ უნდა იქმნას. ერთა სოლიდარობა—ერების გაუქმება არ არის და სხვა და სხვაობის აღმოფხვრას არ მოითხოვს. სოლიდარული მოქმედება ცენტრიდან მიღებულ ბრძანებაზე მოქმედებას არ მოითხოვს. ერთა სოლიდარობა, პირიქით, იგულისხმებს ეროვნულ სხვადასხვაობას და თითოეულ ერის თვითმოქმედებას, მხოლოდ შეთანხმებულს სხვა ერების თვითმოქმედებასთან. გაერთიანება, გაერთფეროვნება—ეს ბიუროკრატიის პრინციპია, განმათავისუფლებელ მოძრაობის პრინციპი შეიძლება იყოს მხოლოდ კავშირი და შეთანხმება. თუ ეს პრინციპი დროით არ იქმნა წამოყენებული, თვით აზრი ერთა სოლიდარობისა, რომელიც უკვე დასთესა ქართველ ხალხში განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, გაიყინება, დაძრება და უნაყოფოდ მოკვდება.

## ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებლები.

ქალაქ ტფილისის პირველ-დაწყებით სასწავლებლების საჭიროება და მათის რაოდენობის გამრავლება დღევანდელს პირობებში ყოველს ეჭვს გარეშეა. ამიტომ თვითეული კეთილ განწყობილი ქალაქის მართველობა თავის სამღვთო მოვალეობად სთვლის ეს სკოლები გაამრავლოს და ამნაირად ქალაქის ღარიბ მკვიდრს მართლაც ჯეროვანი დახმარება გაუწიოს, რისთვისაც არც შრომას და არც ხარჯს არ ერიდება.

ევროპის დიდს ქალაქებში ამ სასწავლებლების ორგანიზაცია ისეა მოწყობილი, რომ ქალაქის ღარიბ მკვიდრის შვილი ასეთს სასწავლებლებში თითქმის დამთავრებულს საშუალო სწავლას იძენს. ასე, მაგალითად, ბერლინში, სადაც პირველ-დაწყებით სამოქალაქო სასწავლებლების კურსი რვა წელიწადს გრძელდება და მოწაფე თითქმის დამთავრებულს საშუალო სწავლას იძენს.

ქალაქ ტფილისის თვითმართველობამ პირველ-დაწყებით სასწავლებლების დაარსების საქმეში ჯეროვანი სიმკვირცხლე და გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ქალაქი, რომლის მკვიდრთა რაოდენობა ორასი ათასს აღემატება, თვრამეტ პირველ-დაწყებით სასწავლებლის ამარაა და ამ სასწავლებლებსაც ნივთიერისა და პედაგოგიურის მხრით სასურველ პირობებში არ უხდებათ მოღვაწეობა. აგერ სრული თოთხმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც ქალაქმა თავის ხარჯით ამ სასწავლებლის დაარსება ითავა, მაგრამ ქალაქის თვითმართველობას დღემდის ისიც ვერ გადაუწყვეტია საბოლოოდ, ვინაა ამ სკოლების ნამდვილი გამგე პატრონი, იგი თუ სასწავლო ოლქის დირექცია. მართალია, ქალაქი თავის თავს აღიარებს გამგე პატრონად, მაგრამ ასეთი პატრონობა ქალაქის თვითმართველობას მაინცა და მაინც არაფრით არ დაუმტკიცებია. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ თუ დირექციამ რომელიმე მასწავლებელი არ დაამტკიცა, სკოლების გამგე კომისია უღონოა თავისი კანდიდატი დაამტკიცებინოს. თუ ქალაქის თვითმმართველობა მართლაც სკოლების პატრონად სთვლის თავისთავსა ამოდენ ხანს რა გაჭირდა, რომ ამ სკოლების სამოსწავლო გეგმაც ვერ შეადგინა. პირველ-დაწყებით სასწავლებლებში სამშობლო ენაზედ სწავლებას უნდა ჰქონდეს უპირატესობა დათმობილი, ხოლო, რამდენადაც ვიცით, ეს ასე არა ყოფილა და ქალაქის მმართველობა არც ცდილა დაეცვა და დაეფარა ეს პედაგოგიის ანბანური ჭეშმარიტება ძალმომრეობისაგან.

სკოლების გამგე კომისიამ თავის სკოლებისათვის მიიღო ბ-ნ ალ. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით შემუშავებული სასწავლო გეგმა, რომელიც სამშობლო ენაზედ სწავლებას შედარებით უფრო ფართო ადგილს უთმობს, ვიდრე დღემდე არსებული სასწავლო გეგმა. ამ გეგმას მიღება, რასაკვირველია, გამოიწვევდა მოწაფეთა დანაწილებას ეროვნების მიხედვით

ქალაქის სკოლების გამგე კომისიას ამ ჟამად განუზრახავს ასეთი განაწილება და ამ საკითხის გადასაწყვეტად კიდევაც გაუმართავს სხდომა, რომელზედაც სათათბიროდ მოუწვევიათ სკოლების გამგეებიც. როგორი პროექტი შეიმუშავა ამ შეერთებულმა კრებულმა, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ქალაქის ღარიბ მკვიდრთათვის ამ მეტად დიდ მნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტა ზერე-ქვერეთ ყოვლად მოუხერხებელი საქმეა. უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ სკოლების გამგე კომისიამ შეჰკრიბოს ნამდვილი ცნობა იმის შესახებ, რამდენი და რომელ ეროვნების მკვიდრია ქალაქის ამა თუ იმ უბანში და ამის მიხედვით მოათავსოს ამა თუ იმ უბანში ესა თუ ის საქალაქო სკოლა. სკოლების უბნებად განაწილება ეროვნების მიხედვით დიდის სიფრთხილით უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება სამართლიან პროტესტს გამოაცხადებს, რომლის უყურადღებოდ დატოვება დიდს უსიამოვნებას გამოიწვევს. ამიტომ, ვიმეორებთ, საჭიროა, რომ კომისია ძრიელ სიფრთხილით მოეპყრას ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას.

სკოლების გამგე კომისიას ძრიელ კარგად უქნებია, რომ თავის სხდომაზე მიუწვევია სკოლის გამგეები და კიდევ უფრო კარგად მოიქცეოდა, რომ ამ სხდომებზე სკოლის მასწავლებელნიც მიეწვია. მასწავლებლები, როგორც საქმეზე ახლო მდგომნი, მრავალს საგულისხმიერო ცნობას მიაწოდებდნენ კომისიას და ამნაირად ამ დიდმნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტას ერთიორად ხელს შეუწყობდნენ.

ჩვენ კიდევ უფრო მეტს ვიტყვით. საქმე მაინცა და მაინც ისე საშური არ არის და ამიტომ საჭიროა, რომ სკოლების გამგეკომისიისა და სკოლების გამგე და მასწავლებლების შეერთებულმა კრებულმა შეიმუშაოს სკოლების უბნებად დანაწილების სასურველი პროექტი და ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით საზოგადოებას აცნოს. საზოგადოება ამ საგნის შესახებ თავის მსჯავრს დასდებს და ამრიგად კრიტიკულად განსჯილი და განხილული პროექტი უფრო მეტის სამართლიანობით იქმნება შემუშავებული და ამ დიდ მნიშვნელოვან საქმესაც კეთილად მოაგვარებს.

ა. მიქაბერიძე

## დასავლეთ საქართველოში

**ბათუმი.** როგორც გურიიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, ჯარი შესულა 31 იანვარს ნაგომარში. გადამწვარა ერთი წყება დუქნე-

ბისა. გადამწვარია ნაგომრის გარშემო მდებარე სოფლები. სულ დღემდე გადამწვარა ხუთასამდე სახლი. გადამწვარია სახლები ბახვს, ბაცანასა, ასკანასა და აკეთში.

აქ დაიჭირეს ასამდე მუშა. ლეჟერიძეს ქარხნის პატრონისათვის ხელფასის მომატება უთხოვნიათ.

—

ხმები რაჭა-ლეჩხუმის შესახებ არ გამართლდა. თ-დ დადიშკელიანმა კიდევ დაიბარა ჯარი რაჭაში. ამბობენ, ონისთვის ცეცხლი წაუკიდებიათო. ჯარი ხვალ დილით მიდის. არც ლეჩხუმი გადარჩა სისასტიკეს, თუმცა გზაში ჯარს რამდენგანმე შეხვდა ხალხი პურმარილით.

—

ბაღდადის და ახლო-მახლო სოფლებიდან უკვე ჩამოვიდნენ ყმაწვილი კაცები სამხედრო ბეგარის გადასახდელად. მაზრის სამმართველოს ჩვეულებრივი შემოდგომისებური მოძრაობა ეტყობა. დღეს დაპატიმრეს ფოსტის მოხელენი ბ. ბრეგვაძე, ბ. ფრანგულიანცი და ბ. ვეშაპიძე.

—

ხვალისთვის ალიხანოვს დაბარებული ჰყავს პოლიციის მოსამსახურენი იმის გამოსაძიებლად, თუ რა პირობებში დაიკარგა პოლიციიდან იარაღი და ან ვის ედება ბრალი.

—

ამ დღეებში, ამბობენ, არტილერიის „მანიოვრები“ ექნება და აფრთხილებენ მცხოვრებთ, არ შეეშინდეთ თოფების და ზარბაზნების ხმისა. ვერც-კი წარმომიდგენია, რაღამ უნდა შეგვაშინოს ქუთაისელები!

—

14 იანვარს დაპატიმრებული ნაფიცი ვექილი მოსე ქიქოძე, 60 წლის მოხუცებული კაცი, როგორც გადმოგვცეს, შეუძლოდ არის. როგორცა სჩანს, სატუსაღოს რეჟიმი ვერ აიტანა ხნიერმა და ჯანით სუსტმა ქიქოძემ.

—

◆ ქუთაისის ციხეში მყოფ პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორს ბ-ნ მალინოვსკის მიანდეს. მალინოვსკი 2 თებერვალს შეუდგა გამოძიებას.

—

სოფელ ოფირჩხეთის მცხოვრები (ქუთაისის მაზრა) პ. ხაჭაპურიძე, რომელიც 30 იანვარს დააპატიმრეს თორაძის გაძარცვის გამო და რომელზედაც ეჭვი ჰქონდათ, ვითომ ის უნდა იყოს ბოქაულის ქობალიანის მკვლელი, დარაჯებს მოუკლავთ გზაში, როდესაც საპყრობილეში მიჰყავდათ.

—

კედამოვის დაჭრის შემდეგ დღისით ქალაქის ქუჩებში ქვეითა ჯარის პატრულები დაიარებიან, ღამ-ღამობით-კი ყაზახ-რუსები გამოდიან.

—

ქალაქის ქუჩებს, სამი თვის სიბნელის შემდეგ, როგორც იქნა, ელირსა განათება. ეს მეოთხე დღეა, რაც ქალაქის გამგეობამ ქუჩების განათება დაიწყო.

—

1 თებერვალს ვ. ბეჟანეიშვილის ყოფილ სასტუმროს „ბელვიუში“ სამასამდე სალდათი დაბინავეს. ჯარი ჩააყენეს აგრეთვე მუნჯიევის საკანდიტეროში. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ჯარი „როსიის“ სასტუმროშიაც სდგას.

—

**ყვირილა.** დაიწყო თუ არა 15 დეკემბერს გაფიცვა, ყვირილა-შორაპანში დაარსდა სანოვაგის კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია რაოდენობა სანოვაგისა დაბაში. გამოირკვა, რომ ფქვილი, შაქარი და ნავთი ერთი კვირის სამყოფი იყო. ნავთი გამოიწერეს სამტრედიიდან, მიჰყიდეს ერთ ვაჭარს, რომელიც ჰყიდდა ფუთს 1 მ. 10 კ. აგრეთვე მოტანილ იქნა ფქვილი და შაქარი. ყველა უსაჭიროესს საგნებზე კომისიამ დაადგინა ნიხრი, რომლის ძალითაც წითელი პური ოყა იყიდებოდა 10 კ., თეთრი —13 კ., შაქარი გირვანქა—18 კ. და ნავთი გ.—3 კ. ამავე დროს დაბაში გავრცელდა ხულიგანური მოქმედება: ღამ-ღამით ტეხავდნენ დუქნებს, ისროდნენ თოფებს, ამის გამო დაბის მკვიდრნი ღამე გარედ ვერ გამოდიოდენ. რადგან ძველი პოლიციელები არსად სჩანდნენ, მცხოვრებთა დაცვა მავნე პირებისაგან იკისრა ადგილობრივმა, ხალხისაგან შემდგარმა რაზმმა. რაზმის დაბაში დაბინავების შემდეგ მოისპო ყველა ბოროტ-მოქმედება. რუსეთიდან საოცარი ამბები მოდიოდა; დანამდვილებით კი არა თუ რუსეთის, საქართველოს სხვა და სხვა კუთხის ამბებსაც ვერ ვტყობილობდით. გაფიცვის მოხსნის ამბავი აქ 5 იანვარს მოვიდა, თანაც გავრცელდა ხმა, მიხაილოვიდან ჯარი ზარბაზნებით მოდისო, რაც დამტკიცდა დეპეშებით მეორე დღეს. ჯარის წამოსვლის ამბავმა ბევრი გაახარა. საეროობო დარაჯები, რომელნიც ორ თვეს არსად სჩანდნენ, დღეს ფორმაში გამოწყობილნი დადიან ქუჩებში, მხოლოდ უიარაღოდ.

6 იანვარი. ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი ამოვიდა ქუთაისიდან და ხალხს წინადადება მისცა: გაანთავისუფლეთ ტყვეობიდან სალდათები და ოფიცრები, დააბრუნეთ წართმეული თოფები და ხაზინიდან წაღებული ფული. პირველი მოთხოვნილება მაშინვე აასრულეს, მაზრის უფროსის თანაშემწე გაგზავნილ იქნა ჭიათურაში იმათ გასათავისუფლებლად. დანარჩენ მოთხოვნილების ასასრულებლად ვადა ითხოვეს რამდენიმე დღე. საღამოს გუბერნატორი ქუთაისს წავიდა.

7 იანვარი. ყვირილა-სამტრედიის ნაწილის გაფიცულმა მუშებმა იწყეს მუშაობა. დაბა დაცარიელდა. გაიხიზნენ სოფლებში. ბევრმა დუქნებიც დაცალა და ნივთები სოფლად წაიღო.

8 იანვარი. საღამოს 3 საათზე მოვიდა პირველი სამხედრო მატარებელი. სადგურზე არავინ დახვედრია. გაჩერდა თუ არა მატარებელი, ყაზახები ჩამოვიდნენ სადგურზე და ჰაერში რამდენჯერმე თოფები გაისროლეს. ამ დროს ორი კაცი სადგურის ახლო მიდიოდა. სროლამ შეაშინათ და გაიქცნენ. გამოუდგა ორი ყაზახი. ერთი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს. პირველი მატარებელი წავიდა სვირისკენ. ოთხ საათზე მეორე მატარებელი მოვიდა პლასტუნებით. გადმოხტნენ თუ არა მატარებლიდან, მაშინვე მიადგნენ დუქნებს, შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა ოქ. ჯაბიძის დუქანს. იქიდან სხვა დუქნებს გადაედო და დაიწვა სულ 20 დუქანი. დილას პლასტუნებიც წავიდნენ.

9 იანვარი. ხალხმა იწყო გახიზვნა სოფლად. საღამოს 3 საათზე მოვიდა მესამე სამხედრო მატარებელი პლასტუნებით, მას მეოთხე, მეხუთე და მეექვსეც მოჰყვა. გაჩერებისათანავე ცეცხლი გაუჩნდა დანარჩენ დუქნებს. დაიწვა ამ ღამეს: თეატრი, ბანკი, სამკითხველო, სტამბა გაჩეჩილაძის, აფთიაქი და დუქნები გაჩეჩილაძეების, ცერცვაძისა, მამალაძისა, არდიშვილისა, კლენჯერიძისა, გვილესიანისა, ჩუბინიძისა, ნიორაძის და სახლები ხიდს გამოღმა ხაინდრავასი, ფხაკაძისა, გიორგაძისა და ხიდს გაღმა დუქნები ყველა და სახლი პავლე ქურციკიძისა. დაუწყეს ჩხრეკა სახლებს. დაანგრიეს ვ. მაჭავარიანის სახლი, რადგან ერთი თოფი ნახეს შიგ. შეკრიბეს ბაზრელები, ვინც იყო დაბაში, და გამოუცხადეს, ხელში მიცემა მოთავე პირებისა, აგიტატორებისა და რაზმელებისა. რამდენმამე პირმა დაასახელა აგიტატორები. მეორე დღისთვის ახლო-მახლო სოფლელების კრება დანიშნეს. ეს ამბები მოხდა 11 იანვრამდი, მას შემდეგი ამბები უკვე დაბეჭდილი იყო „ცნობის ფურცელ“-ში.

ს. თამამაძე.

# ახალი ამბავი

◆ **მეზღვაურნი კავკასიის დასამშვიდებლად.** როგორც „ნოვ.“-ს გაუგია, განზრახულია კავკასიაში ხალხის დასამშვიდებლად გამოჰგზავნონ მეზღვაურთა ბატალიონი. ასეთი ბატალიონები ამ ჟამად ბალტიის მხარეში მოქმედებენ და, გაზეთის სიტყვით, ძალიან სასტიკად იქცევიან.

◆ **პოდპ. ჩიქოვანის დაჭრა.** „ჩერ. ვ.“-ში დაბეჭდილია: „ამბობენ, რომ აბაშაში ვიღაც უცნობმა კაცმა დასჭრა ერევნის პოლკის პირველ ბატალიონის უფროსი პოდპოლ. ჩიქოვანი. ხმა დადის, რომ ქუთაისიდან აბაშაში ჯარით წავიდა გენერალი ალიხანოვი. ამ წასვლას კავშირი აქვს ჩიქოვანის დაჭრასთან“.

◆ **მაჰმადიანთა გაზეთი.** გაზეთებში უკვე მოხსენებული იყო, რომ მაჰმადიანები პეტერბურგში აარსებენ დიდ პოლიტიკურ გაზეთს. გაზეთის ერთ თანამშრომელს ამის თაობაზე ლაპარაკი ჰქონია გავლენიან მაჰმადიანთან. ამ უკანასკნელს უთქვამს, გაზეთს ვაარსებთ მაჰმადიანთა ინტერესების დასაცავად. გაზეთმა პასუხი უნდა გასცეს აგრეთვე ყველა იმათ, ვინც მაჰმადიანებზე ათას ცრუ ჭორებს ავრცელებს. მანამდე-კი გადავწყვიტეთ, ხმა არ ამოვიღოთ ასეთ ჭორებზეო.

◆ **გენ. გრიაზნოვის მოკვლის შესახებ.** გამოძიება გენერალ გრიაზნოვის მოკვლის შესახებ უკვე დაუსრულებიათ და გუშინ, 6 თებერვალს, კიდეც გადაუციათ სამხედრო სასამართლოს ბრალმდებლისთვის.

◆ **ჩხრეკა.** როგორც ვწერდით, ჯარმა დაჩხრიკა თამამშევის ქარვასლის სარდაფები. გუშინ, 6 თებერვალს, დილით ადრე ჯარის-კაცები შეუდგნენ კავკასიის სამხედრო შტაბის გაყოლება სახლებისა და მაღაზიების ჩხრეკას. გაჩხრიკეს „კავკაზ“-ის სასტუმროს სადგომი, ერთი ნაწილი თავად-აზნაურთა ქარვასლისა და სხვა შენობები. როგორც ამბობენ, ვერაფერი აღმოუჩენიათ.

◆ **„ნოვოე ობოზრენიეს“ განახლება.** ამ გაზეთის რედაქტორად მიუწვევიათ თ. ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ძმისწული ცნობილ მწერლის ნემიროვიჩ დანჩენკოსი. რედაქციის საქმეები უნდა აწარმოოს 20 კაცისაგან შემდგარმა სარედაქციო კომისიამ. 10 წევრი „დაშნაკცუტუნის“ პარტიას ეკუთვნის, 10 წევრი კონსტიტუციონალურ დემოკრატიულს. მიმართულება ექნება კონსტიტუციონალურ დემოკრატიული. ეხლანდელი მდივანი ნეპრინცევ-ტალერი „ტფ. ლისტ“-ოკში გადავიდა.

◆ **პოლპორუჩიკი ბაბუნაშვილი.** 31 იანვარს ბაქოში თავი მოუკლავს პოლპორუჩიკს კ. ლ. ბაბუნაშვილს ადგილობრივი გაზეთები თანაგრძნობით იხსენიებენ ახლად გარდაცვალებულს. განსვენებულს სომეხ-თათრების შეტაკების დროს მარტო ბალახანის ქუჩაზე 77 კაცი გადაურჩენია. საზოგადოებამ პატივსაცემად ხმალიც მიართვა მაშინ. 4 თებერვალს გვამის გამოსვენებას დიდძალი ხალხი დასწრებია და კუბო მრავალის გვირგვინით შეუმკიათ. გაზეთები არ გადმოგვცემენ თავის მოკვლის მიზეზს.

◆ **ქალაქის შემოსავალ-გასავალი.** სავარაუდო აღრიცხვით, ქალაქ ტფილისის ამა 1906 წლის შემოსავალი გამოანგარიშებულია 1,425,000 მან., ხოლო ხარჯი 1,500,000 მან. დეფიციტი ქალაქს მოელის 75,000 მ.

◆ ამას წინად ტფ. მცხოვრებმა წერეთლოვმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის ტეხნიკოსმა ზურაბიანცმა ქრთამი აიღო და ამით ჩემს საქმეს შენობის შესახებ აფერხებსო. ეს საქმე გამგეობამ გადასცა გამომძიებელს. გამომძიებელმა ამ დღეებში გამოჰკითხა სავაჭრო სამეურნეო პოლიციის უფროს აგენტს და გამგეობის მდივანს.

◆ ტფ. პოლიცმეისტერის განკარგულებით პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაული ფირუმოვი გადაყვანილ იქმნა მე-9 ნაწილის ბოქაულად, ხოლო ამ ნაწილის ბოქაული ტურიკოვი მე-5 ნაწილის ბოქაულად.

◆ ამას წინად გავრცელებული ხმები ავჭალის მცირე-წლოვან დამნაშავეთა დირექტორის მაღალაშვილის დაკარგვის შესახებ ტყუილი გამოდგა. მაღალაშვილი საკუთარ საქმეების გამო რუსეთში ყოფილა და უკვე დაბრუნდა ტფილისში. ახალშენი უსახსრობისა გამო უკვე დახურეს.

◆ გადათარგმნა შემდეგი ახალი წიგნები: „დედაკაცი და სოციალიზმი“, ა. ბებელისა; „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, კ. მარქსისა; „როგორ წარმოსდგა მუშათა კლასი“, კ. კაუტსკისა; „მუშათა მდგომარეობა საშუალო საუკუნოებში“, მისივე.

◆ პრინცესა კაჯარის სახლთან 5 თებერვალს, საღამოს $6^1/_2$ საათზე, ცოტას გახდა უბედურება არ დატრიალდა. აქ რაღაზედაც წაჩხუბებულან ორი პოლიციელი. პოლიციელთ ამოუღიათ რევოლვერები და ერთმანეთისთვის უსროლიათ, მაგრამ აუცდებიათ. იქვე მყოფ მეეზოვეს სარქისას ერთი პოლიციელი ეზოდან გამოუგდია, ხოლო მეორე დაუპატიმრებია და პოლიციაში წაუყვანია. კიდევ იღბალი, რომ ამ შეტაკებას მოწმეები დასწრებიან და ახლო-მახლო არც ყაზახები ყოფილან, თორემ, ვინ იცის საქმე როგორ დამთავრდებოდა.

◆ ნიხრის დამწესებელმა კომისიამ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას განკარგულება მოახდინოს, რომ მეპურეებმა და ყასბებმა დუქნებში გამოაკრან ნიხრი. კომისიის წევრებმა ქალაქი რამდენსამე ნაწილად დაჰყვეს და დაადგინეს, თითოეულმა მათგანმა ზედამხედველობა იქონიოს ვაჭრობაზე. კომისიამ სთხოვა აგრეთვე გამგეობას, განკარგულება მოახდინოს, რომ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტები დილის 7—10 საათამდე თვალ-ყურს ადევნებდნენ ვაჭრობას და ნიხრის კომისიას აცნობონ ხოლმე თუ რამე ნაკლულევანებას შენიშნავენ.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობის წევრებმა ამ რიგად გაინაწილეს სამუშაო: 1 განყოფილებას განაგებს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი; 2 განყოფილებას ნ. პ. კოკჩაევი; 3 საამშენებლო განყოფილებას ა. ი. ხატისოვი, ხოლო მე-4 განყოფილებას თავ. ნ. ე. არგუთინსკი დოლგორუკოვი.

◆ გაზეთებით მოვაჭრე ივანე კოზბანი 4 თებერვალს ტრამვაიზე შემხტარა, მაგრამ ფეხი დასხლტია და მძიმედ დაშავებულა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ 15 თებერვლისთვის სამხედრო სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე კონდუქტორის იასონ იას. ღლონტისა, რომელსაც რკინის გზის კონტროლერის თავ. თუმანოვის მოკვლა ჰბრალდება. იასონ ღლონტს იცავს ნაფიცი ვექილი თავ. ი. ბარათაშვილი.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი,** 4 თებერვალს. კანონთა კრებულში გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება 2 თებერვლის თარიღით კავკასიაში სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნის წესების შესახებ. სათათბიროში უნდა აირჩიონ: ბაქოს გუბერნიაში—3 წევრი (1 ქალაქ ბაქოში, 2 გუბერნიაში), ბათუმის ოლქსა და სოხუმი ოლქში—1, დაღესტნისა და ზაქათალის ოლქებში—2, განჯის გუბერნიაში—3, ყარსის ოლქში—1, ყუბანის ოლქსა და ჩერნომორის გუბერნიაში—6, ქუთაისისაში—3, თერგის ოლქში—3, ტფილისის გუბ.—4 (ტფილისში—1 და დანარჩენ ქალაქებსა და მაზრებში—3), ერევნის გუბ.—3. ყუბანის ოლქის და ჩერნომ. გუბერნ. ექვს წევრიდან სამს ირჩევენ ყაზახ-რუსები, სამს დანარჩენი მცხოვრებნი; თერგის ოლქის 3 წევრიდან 1 ირჩევენ ყაზახ-რუსები, ორს დანარჩენი მცხოვრებნი. ყოველს მაზრაში დაწესდება სამი საარჩევანო კრება: მემამულეთა, ქალაქის ამომრჩეველთა, სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენლებისა. განსაკუთრებული საარჩევნო კრებები იქნება ყაზახთა სტანიცებში. ყუბანის და თერგის ოლქებში და ჩერნომ. გუბერნიაში დაარსდება ორი საოლქო საარჩევნო კრება: ერთი იმ რწმუნებულთათვის, რომელთაც ყაზახთა სტანიცებში აარჩევენ, მეორე იმათთვის, რომელთაც დანარჩენი მცხოვრებნი აარჩევენ. მუშები აარჩევენ რწმუნებულთ სათათბიროს წევრთა ამოსარჩევად. მუშებმა უნდა აირჩიონ. ბაქოს გუბერნიასა და ქალაქ ბაქოში—4 რწმუნებული, ბათუმის ოლქში—1, ქალაქ

---

# ფელეტონი

## რუსეთის ცხოვრება

რუსეთის ბასტილია.—მუშათა შორის.—„მეშჩანთა“ დეპუტაცია გრ. ვიტესთან.—ერობა და გრ. ვიტე.

ერთი უდიდესი მოვლენა ჩვენ წყალ-წაღებულ დროში არის შლისელბურგის ციხის გაუქმება. მართალია, რუსეთის ბასტილიის გაუქმება არ იყო ისეთი ეფექტიანი, როგორც საფრანგეთისა, მაგრამ მაინც ეს გარემოება ბევრ რამეს მოასწავებს. იგი მოწმობს ხალხის ძლიერებას, საზოგადოების აზრის შეკავშირებას ერთ ძლიერ ძალად და ბიუროკრატიის დესპოტიზმის ნელნელა დაცემას. მართალია, რუსეთის ისტორიას დააკლდება ერთი ბრწყინვალე ფურცელი, მაგრამ სამაგიეროდ ისტორიაში აღნიშნული იქნება იმ ბასტილიის აღება, რომელსაც ჰქვიან ბიუროკრატთა მკაცრი შეუდრეკელი გული. ეს გული დღემდე პრინციპიალურად წინააღმდეგი იყო საზოგადოების აზრის ყურის გდებისა, დღეს კი იძულებული გახდა ამ ხორცშეუსხმელ ძალის წინაშე ქედი მოეხარა და თავის ხელით დაექცია თავის მიერვე აშენებული ბასტილია. დიახ, ბიუროკრატის გული უფრო საშინელი ბასტილიაა, ვიდრე საფრანგეთის ბასტილია იყო და იმის აღებით რუსეთის ხალხი უფრო დიდ ბასტილიას აიღებს, ვიდრე საფრანგეთის ხალხმა. შლისელბურგის ციხის გაუქმებაც ამ ბასტილიის აღების ერთი მომენტია. აღარ არსებობს ის საშინელი სიმაგრე, სადაც ცოცხლად დამარხული გმირები გულში იკლავდნენ საუკეთესო გრძნობებს, სადაც ძლიერი გულის ძგერა ძალაუნებურად უნდა შემდგარიყო და გამალებული მაჯისცემა მინელებულიყო. აღარ არის ის სიმაგრე, სადაც აჩრდილები რუსეთის ბიუროკრატიის ცივ ბუმბერაზთან მებრძოლთა განუწყვეტლად დატრიალებდნენ და საშინელის ტანჯვით, როგორც რომაელების დაუკრძალავ მკვდრების აჩრდილნი, მიიღწოდნენ უფსკრულის იქითა ნაპირს, სადაც ბედნიერება ეგულებოდათ. ეხლა ეს ციხე აღარ არსებობს. თუმცა საპყრობილის გაუქმებას თან არ მოსდევს პატიმართა სრული განთავისუფლება, თუმცა ჯერ კიდევ დღესაც არ ვიცით, რა ბედი მოელით მათ, მაგრამ ეჭვი არ არის, მათი მდგომარეობა გაუმჯობესებული იქნება.

21 ოქტომბრის ამნისტიის შემდეგ ამ ციხეში დარჩა სულ 5 კაცი: გერშუნი, საზონოვი, სიკორსკი, მელნიკოვი და კაჩურა; რვანი პეტრეპავლოვის საპყრობილეში გადაიყვანეს. შლისელბურგის ციხის აღდგენიდან (1884 წელს) 21 წლის განმავლობაში იქ ჩაუსვამთ სულ სამოცდა შვიდი კაცი. წინა წლებში შლისელბურგიდან გაუყვანიათ 15 კაცამდის. დანარჩენ 37 კაცის ბედი ტანჯვის საშინელი ისტორიაა: 13 კაციდან ზოგი დახვრიტეს და ზოგი ჩამოახრჩეს ივით შლისელბურგის საპყრობილეში, აი ამათი გვარები: მიშკინი, მინაკოვი, ულიანოვი, გენერალოვი, ოსიპანოვი, ანდრეი იუშკინი, შევირევი, შტომბერგი, როგაჩევი, ბალმაშევი, გერშკოვიჩი, ვასილიევი და კალიაევი. 4 კაცმა თავი მოიკლა შიგ ციხეში. ესენი იყვნენ: კლიმენკო, ტიხანოვიჩი, გრაჩევსკი და სოფიო გინცბურგი. სამმაც თავი მოიკლა განთავისუფლების შემდეგ, სამი ჭკუიდან შეიშალა. ორი ამათგანი დღესაც ცოცხალია და იტანჯება ამ საშინელ ავადმყოფობით. დანარჩენი 15 კაცი ზოგი ჭლექით მოკვდა, ზოგი ცინგით და ზოგი შეშლილობით შლისელბურგის ციხეშივე. ამ ფაქტებიდან კარგად სჩანს, როგორ აუტანელი უნდა ყოფილიყო საპყრობილის რეჟიმი, მაგრამ უფრო უკეთ რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა სასტიკად ეპყრობოდნენ დაპატიმრებულთ და რა საშუალებას ხმარობდნენ სიცოცხლით სავსე ხალხისთვის სიცოცხლე დაევიწყებინათ, გაუტეხელი ხასიათი გაეტეხა და „ცოდვები მოენანიებიათ“, საჭიროა აღვნიშნოთ კიდევ ისიც, რომ ზოგი პატიმარი სიკვდილს რჩეობდა შლისენბურგში სიცოცხლეს და სცდილობდა ისეთი დანაშაული რამ ჩაედინა, რომ ან დაეხვრიტათ, ან ჩამოეხრჩოთ.. ესეც არა კმარა: ავადმყოფებს და ჭკუიდან შეშლილებს ციხეში არჩენდნენ და იმათ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევდნენ. ერთი კაცი ორი თუ სამი წელიწადი უძრავად იწვა, სანამ მთელი ტანი არ დაუწყლულდა და მატლები არ დაესია. როდესაც გარდაიცვალა, ციხის ზედამხედველი შევიდა იმის კამერაში, დაჰხედა დაწყლულებულ ტანს და უნებურად წამოიძახა: ღმერთო, სადამდის მიუყვანიათ ეს კაცი“-ო! ყველაზე გულის შემზარავი პატიმრისთვის ის წამები იყო, როდესაც მეზობლის საკნიდან ესმოდა გმინვა და ოხვრა მომაკვდავისა, ან როდესაც მეზობელ კარის ხმაურობა ისმოდა, საიდანაც ბრახა-ბრუხით რაღაც მძიმე გაჰქონდათ. ამით იგებდნენ პატიმარნი, რომ იმათ სადგომს ერთი ყევრი მოაკლდა და ამ გვარივე ბოლო მოელის თვითოეულს მათგანს. საშინელება იყო ის მეტადრე, რომ შეშლილნი საავადმყოფოში არ მიჰყავდათ და თითქოს განგებ, გულის გასახეთქად, იქვე სტოვებდნენ. რა წარმოუთქმელი ტანჯვა უნდა აეტანათ გონება-სალებს, როდესაც ამხანაგის უაზრო გმინვა, ან ხარხარი მოესმოდათ! ნერვები სრულიად ეშლებოდათ და ალბად ბევრი ამისაგანაც გიჟდებოდა. მაგრამ მაინც სალ კლდესავით მაგარმა გულმა, ძლიერმა ხასიათმა აიტანა აუტანელი ტანჯვა და ბევრმა პატიმარმა ცოცხალმა გამოაღწია ციხიდან. ამიტომ საკვირველი არ არის, თუ დღეს ამ წამებულთა თაყვანისმცემელნი სცდილობენ რითიმე აღნიშნონ თავიანთი უსაზღვრო პატივისცემა. კომიტეტიც შესდგა, რომელმაც რამე დახმარება უნდა აღმოუჩინოს ცოცხალ მონუმენტებს გოლიათურ ბრძოლისას საშინელ მტერთან. რამდენი ნაყოფიერი შრომა დააკლდა რუსეთს ამ 21 წლის განმავლობაში, რამდენი დიადი სული გაჰქრა უდროვოდ, რამდენმა გულმა შესწყვიტა ძგერა! რისთვის, რად? განა ესევე არ იყო საშუალო საუკუნოებში? განა მართალია ის აზრი, ვითომ ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად ბრძოლაც უფრო ჰუმანიური ხდებაო? განა საშუალო საუკუნოებში მეტ ტანჯვას იტანდნენ უკეთეს მომავლისათვის მებრძოლნი?

**

ცივილიზაცია და წინსვლა კიდევ იმითი გვეტყობა, რომ ჩვენებური პარტიები ძლიერ ორიგინალურ საშუალებას ხმარობენ ახალ წევრების მოსაპოებლად. მოგეხსენებათ, ამ ჟამად მუშა, რაც უნდა დამცირებული იყოს იგი დიდ ბობოლათა თვალში, ქაღალდზე მაინც არის აღჭურვილი არჩევნების უფლებით და იმედია, ახლო მომავალში ნამდვილ საარჩევნო უფლებასაც მოიპოვებს. აი სწორედ ამიტომ ყველა, ვისაც აქამდის არც კი ახსოვდა მუშა, ეხლა გულმოდგინედ ეტანება და სცდილობს მართალით თუ ტყუილით მოიგოს იმისი გული. თუ რა საშუალებას ხმარობს ერთი ამნაირი პარტია გულის წადილის მისაღწევად, შემდეგის მაგალითიდანა სჩანს. პეტერბურგში საჩაიეში ისხდნენ სტოლთან მუშები და მუსაიფობდნენ. ერთმა მუსაიფის დროს ხუმრობით უთხრა ამხანაგებს, ჩავეწეროთ „უფლებრივ წესრიგის“ პარტიაში ფინანსების შესავსებადაო. ამ დროს მუშებთან მივიდა ერთი კაცი, რომელიც „რუსის ხალხის კავშირის“ წევრი აღმოჩნდა, ჩაერია ლაპარაკში და გააბა მუსაიფი „პოლიტიკურ თემაზე“. მუშები მიხვდნენ, რა შვილიც ბრძანდებოდა ეს კაცი, და თავები მოიკატუნეს. თან-და-თან უცნობი სტუმარი გამოიწვიეს გულწრფელობაზე და ბოლოს ჰკითხეს.

— როგორ იქცევი ხოლმე იმ შემთხვევაში, როდესაც „სიცილისტს“ დაიჭერ?

— დავუძახებ პოლიციელს ან მეეზოვეს და ვუბრძანებ პოლიციაში წაყვანას!—უპასუხა ცოტა შეზარხოშებულმა ვაჟ-ბატონმა.

როდესაც მუშებმა ეჭვის თვალით შეჰხედეს ამ სიტყვებს, უცნობმა იწყინა და მაშინვე უბიდან ამოიძრო ბილეთი № 42,000 და აგრეთვე ქ-ნ პოვლოვის სადგომში 25 იანვრისთვის მისაწვევი ბილეთი. ამასთან გაიღადა გული და უჩვენა მუშებს გულზე რაღაც ნიშანი ორთავიან არწივით და გადაჯვარედინებულ ნაციონალურ ბაირაღებით, თან დაუმატა:

— იმათ (პოლიციელებს და მეეზოვეებს) ნაბრძანები აქვთ მთავრობისაგან, გაუგონონ ყველას, ვისაც კი ამნაირი ნიშანი აქვს...

აქ მუშები დარწმუნდნენ, ვისთანაც საქმე ჰქონდათ და დაცინვით ჰკითხეს.

— სად უფრო მეტ ფულს იძლევიან, „უფლებრივ წესიერების პარტიაში“, თუ „რუსის ხალხის კავშირში“?

უცნობი მიუხვდა მუშებს და პასუხი არ გასცა. ამ ნაირი პარტიები უდგებიან სათავეში ამ ჟამად რუსეთს და ამით უნდათ დააკმაყოფილონ ხალხი. საიდან უნდა გამოიტანონ ეს ნდობა და კმაყოფილება, როდესაც გაჭირვებულ და დამშეულ მუშას არც ერთი ამ პარტიათაგანი არ უწევს ნამდვილ დახმარებას. თუ იმათ წევრების ყვითელ ნიშანს ისეთი ჯადოქრული ძალა აქვს, რომ თვით პოლიციელებიც-კი უსიტყვოდ ემორჩილებიან, რატომ არ გამოსცდიან ამ ძალას იმ მუშების დასახმარებლად, რომელთაც ძმობას უცხადებენ? რატომ არ დაიხსნიან მუშებს იმ სიმშილობისაგან, რომელშიაც ამ ბოლო დროს ჩაცვივდნენ?

მეორე ამგვარივე ცდა მუშების ხელით თავის სურვილის შესრულებისა ეკუთნის ეგრედ წოდებულ „ხელოსანთა პარტიას“, რომელიც ახლა ხან დაარსებულა მხოლოდ

ტფილისსა და ტფ. გუბერნიაში—2, ყუბანის ოლქსა და ჩერნომორის გუბერნიაში—2. მემამულეთა საარჩევნო კრებაში პირდაპირი მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ამიერ-კავკასიის იმ პირთ, 1) ვინც თავის ქონებაზე (გარდა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებისა) იხდის არა ნაკლებ 15 მ. საერობო გადასახადისას წლიურად, ხოლო თერგისა და ყუბანის ოლქებში—არა ნაკლებ 3 მ. 30 კ. სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადისას; 2) ვინც განაგებს არა ნაკლებ ერთის წლისა ისეთ მამულს, რომელზეც 15 მან. საერობო გადასახადს იხდიან; 3) ვინც იჯარით იღებს ისეთ მამულს. ვინც მესაკუთრეა უფრო მცირე მამულისა, ის პირდაპირ არ მონაწილეობს საარჩევნო კრებებში. არამედ რწმუნებულთ ირჩევს. სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულების ასარჩევად კავკასიის ყველა სოფლები, აულები, კალონიები (გარდა ყარსისა და ბათუმის ოლქებისა) დაყოფილი იქნება საავჩევნო ოლქებად ნამესტნიკის შეხედულებით. საარჩევნო სიები ამიერ-კავკასიაში უნდა შეადგინონ მაზრის უფროსებმა, თერგისა და ყუბანის ოლქებში—განყოფილებათა ატამანებმა, ქალაქებში—ქალაქის მმართველობამ ან პოლიციამ. მემამულეთა კრებებში და აგრეთვე სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულთა კრებებში თავმჯდომარეებად იქმნებიან მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლები ან მომრიგებელი მოსამართლეები. საარჩევნო საქმეთა საგუბერნიო კომისიები დაარსდება: ბაქოს, ქუთაისის, განჯის, ტფილისის და ერევნის გუბერნიებში და ყუბანის და თერგის ოლქებში. სახელმწიფო სათათბიროს წევრებს თითოეულ გუბერნიის და ოლქის რწმუნებულთა კრებები ცალ-ცალკე ირჩევენ.

## ტფილისის საეპარქიო სასწავლებლის რეორგანიზაციის გამო

(მცირე შენიშვნა)

როგორც ნამდვილ წყაროებიდან შევიტყეთ, ზემო აღნიშნულ სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს სინოდისაგან წინადადება მიუღია—შეადგინოს დროის შესაფერი სასწავლებლის რეორგანიზაციის პროექტი და სინოდს წარუდგინოს 1-ლ მარტამდე.

გავიგეთ, აგრეთვე, რომ საბჭოს შრომა უკვე გაუნაწილებია... მაგრამ, იცით ვის შორის? თავისსავე წევრების ანუ იმავე [illegible] დაწუნებულ და თავდაწუნებულ სასწავლებლის პედაგოგთა შორის. ამგვარად, სნეულმა თავისი თავი თვითონვე უნდა განიკურნოს სხვის დაუხმარებლად!...

აღნიშნული სასწავლებელი ინახება უმთავრესად ქართველ სამღვდელოებისა და ეკლესიების ფულით. იქ განათლებას იღებს 300-მდე ქართველი ქალი, უმეტესად სამღვდელოების წრისა. და თვით სამღვდელოებას კი არა სურთ შეკითხოს, თუ როგორი სასწავლებელი სჭირდება მას თავის ასულთათვის?! [illegible] ბიუროკრატი-ადათი!

სანამ დაგვიანებული არ არის, წინადადებას ვაძლევთ აღნიშნულ სასწავლებლის მესვეურთ: ბიუროკრატიულ გზას თავი დაანებონ და ისეთი არაფერი დასწერონ, რასაც წინდაწინვე რამდენისამე შეგნებულ სამღვდელო პირის ნდობა და თანხმობა მაინც არ ექნება გამოცხადებული.

ტფილისში საკმაოდ მოიპოვება შეგნებული სამღვდელო პირი და გამოცდილი ქართველი პედაგოგი. ნუ თუ საბჭოს არ შეუძლიან,—უკეთუ მართლა „უსტავი“ ნებას არ აძლევს ოფიციალურ სხდომებზე მათის მოწვევისას,—კერძო სათათბირო კრება მაინც გამართოს, მოიწვიოს მცოდნე სასულიერო და საერო პირები, შეიტყოს მათი აზრი ამავე საგნის შესახებ, ერთის სიტყვით, შეჰკრიბოს საჭირო მასალა და ამის მიხედვით შეადგინოს შემდეგ რეორგანიზაციის პროექტი თავის ოფიციალურ სხდომებზე

გაიგეთ და შეისმინეთ, ბატონებო, რომ მთავრობას სურს თქვენგან შეიტყოს, თუ როგორი სასწავლებელია დღევანდელ პირობებში საჭირო არა თქვენთვის, არამედ მათთვის, ვისი შვილებიც მანდ იზრდებიან, ან მომავალში აღიზრდებიან!..

**ტფილისის სამღვდელოების დამოუკიდებელი ჯგუფი.**

## კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიის კრება.

ამ პარტიის კრება ტფილისში მოხდა 5 იანვარს დაესწრო 70-მდე წევრი. თავმჯდომარეობდა ბიუროს თავმჯდომარე თავ. გ. მ. თუმანოვი. დამსწრეთა უმრავლესობას ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნები შეადგენდნენ. იყო 6—7 რუსი ინტელიგენტი, ექვსამდე ქართველი, დანარჩენი სულ სომხები იყვნენ.

თავმჯდომარემ აცნობა დამსწრეთ პარტიის იმ კრების ამბავი, რომელიც მოსკოვში მოხდა და განაცხადა: ჩვენც განვიზრახეთ ორგანიზაციის შედგენა და ავირჩიეთ დროებითი ბიურო. ბიურომ დაბეჭდა და დაარიგა პროგრამა: დაადგინა საკუთარი გაზეთის გამოცემა. ტფილისში პარტიას მალე საკუთარი ორგანო ექნება. ბიურო სცდილობს სადგომის შეძენას. ამისთვის მოლაპარაკება აქვს საარტისტო საზოგადოებასთან. მე დამევალა გამოვსცე ბროშურა საარჩევნო კანონებისა. ბიუროს დამოკიდებულება აქვს მთავარ კომიტეტთან. ეხლა ვთხოვ პარტიის წევრებს შეუდგნენ ახალ ბიუროს წევრთა არჩევასაო. თავმჯდომარემ აგრეთვე სთქვა, უმთავრესი საქმე ეხლა არჩევნებისათვის მომზადებაა. შემდეგ თავმჯდომარემ, ბ-ნ კარაკოზოვის შეკითხვაზე, პროგრამა უცვლელად რჩება თუ უნდა შევავსოთო, განაცხადა, რომ საკითხი ავტონომიის შესახებ, როგორც რთული საკითხი, განუხილველი დარჩა. ბიურო ამ საკითხის შესახებ მოხსენებას შეიმუშავებს და განსახილველად წარუდგენს პრესას და კავკასიის ყველა ეროვნებას. შემდეგ პროექტს გაგზავნის რუსეთის ერობისა და ქალაქის მოღვაწეთა კრებაზეო.

**ყარა-მურზა.** დღევანდელმა კრებამ უპირველეს ყოვლისა უნდა გამოარკვიოს, შესდგა თუ არა კ.-დემოკრატიული პარტია. 70 კაცი განა რა პარტიას შეადგენს? საჭიროა ამ კრების გადადება და შემდეგ კრებაზე [illegible] რომელი წევრი მოვა და ვინ არის თანამგრძნობელი.

**თავმჯდომარე**: პარტიაში უკვე 500 კაცია ჩაწერილი და თუ 70 კაცზე მეტი არ მოვიდა, ეს იმიტომ, რომ კრების ნებართვა გუშინ მივიღე და მეტს ვერავის შევატყობინეთ. მას შემდეგ რაც მოხდა რუსეთში, უკიდურესმა პარტიებმა შეამოკლეს პროგრამები და შესაძლებელია ამათაც ჩვენთან ერთად იმოქმედონ.

**ლ. თ. ტიგრანოვი.** უმთავრესი საქმე ის არის, გამოვარკვიოთ, მოსკოვში მიღებული პროგრამა მიღო აქაც ტფილისში. როცა ჩვენ აქ ვეხებით არჩევნების სამზადისს დეპუტატების სახელმწიფო საბჭოში ამოსარჩევად, გვავიწყდება ერთი უმთავრესი საქმის გარემოება რომელსაც გვერდს ვერ აუხვევთ და რა პირობებში შეგვიძლიან მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებში. დღეს პიროვნების ხელუხლებლობა უზრუნველყოფილი არ არის, თავისუფლება სიტყვისა და კრებისა მოისპო და ამგვარ პირობებში განა შეგვიძლიან თავისუფლად მოვახდინოთ არჩევნები? ჯერ უნდა ვეცადოთ ეს ხელის შემშლელი გარემოებანი თავიდან ავაშოროთ ხალხი დამშვიდდეს დაწიოკებისა და ცეცხლისაგან და მაშინ შევუდგეთ აგიტაციას.

შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა პეტერბურგიდან მიღებული დეპეშა იმის შესახებ, თუ რამდენი დეპუტატი ეყოლება კავკასიას სახელმწიფო სათათბიროში (იხილე დღევანდელ დეპეშებში) და კრებაზედ დამსწრეს ნაფიც ვექილს ნ. ვ. ტესლენკოს სთხოვა კრებისთვის გაეცნო კ.-დემოკრატიულ პარტიის მეორე კრების გადაწყვეტილებანი. ბ-ნმა ტესლენკომ აღასრულა თავმჯდომარის თხოვნა ტესლენკოს სიტყვით, ყველა საგუბერნიო ქალაქში დაარსდა კომიტეტები, ხოლო მაზრებში განყოფილებანი ჩვენს პროგრამაში სხვა ეროვნებათა შესახებ, მუხლები ყველას აკმაყოფილებს. ყველა ერს ეძლევა უფლება კულტურულ თვით გამორკვევისა. პოლონეთისა და ფილიანდიის ავტონომიების შესახებ პარტიამ გარკვეული აზრი გამოსთქვა, ხოლო კავკასიის შესახებ ვერავითარს გადაწყვეტილებას ვერ დაადგა, რადგან არავინ კრებას მცოდნე კაცი არ დასწრებია. თუმცა იყო ტფ. ქალაქის თავი ქ. ვერმიშევი და ზოგიერთი რამ საყურადღებო ცნობა სთქვა, მაგრამ ეს საკმაო არ იყო. ტაქტიკური საკითხები საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. პარტია წინააღმდეგია შეიარაღებულ აჯანყებისა, გაფიცვებისა და სხვა. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ კულტურულად და თანდათანობითო. გლეხთა წრეებში პოლიტიკური თვითცნობიერება თანდათან იღვიძებს. მთელს რუსეთში ძლიერი აგრარული მოძრაობაა. გლეხებმა ბევრგან ძალით ჩაიგდეს ხელში მიწები, რისათვისაც მთავრობა სასტიკ ზომებს ხმარობს, ამიტომ მათ ეხლანდელ მთავრობის ნდობა სრულიად დაჰკარგეს. გლეხებიც ჩვენთან ერთად ოპოზიციაში იქნებიან. სპეციალური ორგანო პარტიისა მთავრობამ დაკეტა. მოსკოვში ჩვენი საქმე კარგად მიდის. ჩვენი ძლიერი მოწინააღმდეგე არის „კავშირი 17 ოქტომბრისა“ პატრიოტულ პარტიასთან შეერთებული მაგრამ იგი ორგანიზაციით იმდენად სუსტია, რომ ვერას დაგვაკლებს. „დამოუკიდებელთა კლუბი“ ახლოა „17 ოქტომბრის კავშირთან,“ თუმც ამ კავშირში არ შედის, ხოლო „კავშირი დემოკრატიულ რეფორმებისა“ ჩვენ თანაგვიგრძნობს, თუმცა ჩვენს პარტიაში არ შემოდის.

ბ-ნ ლ. ტიგრანოვის მიერ აღძრულ საკითხს შეეხო ექიმი სტეფანოვიჩ და განაცხადა, როგორ შეიძლება ეხლა საარჩევნო მუშაობა როდესაც მაზრები ცეცხლის ალშია გახვეულიო. ამ საგნის გამო კამათმა კარგა ხანს გასტანა.

ბოლოს კრებამ დაადგინა, შეუდგეს საარჩევნო მზადებას. ბიუროს წევრების არჩევანი კრებამ 12 თებერვლისათვის დაინიშნა.

# რუსეთი

**იარაღის დაჭერა.** 24 იანვარს, შუადღისას, ფინის სრუტესთან, საზღვრის დარაჯებს შეუმჩნევიათ ურმები ლუდის ყუთებით დატვირთული. ურმები პეტერბურგისაკენ მიდიოდნენ. დარაჯებმა ეს ურმები და პატრონები შეაყენეს და სანაპირო ყაზარმებში გაგზავნეს. ყუთები გახსნეს და შიგ იარაღი აღმოჩნდა.

**შიმშილობა ციხეში.** მოკშის ციხეში პოლიტიკური ტუსაღები შიმშილით გაფიცულან.

**რევოლიუციის მოთავე გუბერნატორთან.** ბალტიის მხარეში რევოლიუციონური მოძრაობის მოთავე მაქსიმე სრულიად მოულოდნელად რიგის გუბერნატორთან მისულა, თავი გაუცნობებია და დაუწყია მუსაიფი თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. მუსაიფმა თურმე ორ საათს გასტანა. ეს ამბავი შემთხვევით გაუგია ჟანდარმებს. ჟანდარმთა პოლკოვნიკი ვოლკოვი მაშინვე გუბერნატორის სადგომისაკენ გაქანებულა. „თქვენთან რევოლიუციონერია და იმის დასაჭერად მოვედიო“, უთხრა გუბერნატორს. სახტად დარჩენილმა გუბერნატორმა უპასუხა, ჩემთან მართლაც იყო რევოლიუციონერი, მაგრამ უკვე წავიდა. ძალიან გვიან მოვისაზრე, რომ რევოლიუციონერი არ უნდა გამეშვაო.

**სად. გალუტვინოში მომხდარი ძალმომრეობა.** „რუსის“ თანამშრომლის ვლადიმიროვის გამოკვლევით, შემდეგი ამბავი მომხდარა გოლუტვინოში: ჯარს მოსვლისათანავე დაუჭერია რკინის გზის სადგურის უფროსი ნადეჟინი, მოხელე დორფი და სხვანი. რადგანაც ამათ არაფერი დაუშავებიათ, ამიტომ ყველანი დამშვიდებულნი იყვნენ. ყველას ეგონა, საღამოთი ისევ გაგვანთავისუფლებენო. ქ-ნი დორფი საღამოთი დიდ-ხანს ელოდა თავის ქმარს და რაკი აღარ მოვიდა, თავის პატარა ვაჟის ხელით 4 კაცის კერძი საჭმელი გაგზავნა. საჭმელი არ მიიღეს და ბავშვს უთხრეს: არ ვიცით, სად არიან დაჭერილებიო. მესამე დღეს გაიგეს, რომ ჯარს ყველანი დაეხვრიტა. ყველას ერთი და იგივე კითხვა ებადა: „რისთვის, რისთვის მოჰკლეს?“ მაგრამ ამის პასუხი არსად იყო. დახოცილები ერთად დაესაფლავებინათ, ისე რომ გვამებიცკი არ დაუბრუნეს ცოლ-შვილს; ერთს ენახა დახოცილთა გვამები. ყველას სახე მოღრეცილი ჰქონდა თურმე, რაც ნიშნავს იმას, რომ სიკვდილამდის დიდი ტანჯვა გამოუვლიათ საცოდავებს. თუ რამ ძვირფასი ჰქონდათ დახოცილებს, ან ფული, სულ წაუღიათ. ჯარმა ამგვარის გასამართლების შემდეგ პარაკლისი გადაიხადა და ისე წავიდა. მარტო ამ ერთ სადგურზე, ვლადიმიროვის სიტყვით, ოცდა ათ კაცზე მეტი დახვრიტეს, სულ უდანაშაულოები, რადგან რევოლიუციონერებმა და მებრძოლებმა წინ და წინვე უშველეს თავს, ესენი-კი არხეინად იყვნენ, დანაშაული არა მიგვიძღვის-რა და არაფერს გვიზამენო. („რუს.“)

**ბალტიის მხარე.** ვალკის მაზრაში, ლაუკემეცში დაუხვრეტიათ 3 კაცი, ვიცემგოფში—4, ააგოფში—6, ხერბიგალში—ერთი. პერნოვის მაზრაში დაუხვრეტიათ 10 კაცი, გრობინისა და გოზენპოტსკის მაზრებში, სამხედრო სასამართლოს დადგენილებით, რკინის გზის ლიანდაგის წახდენისათვის დაუხვრეტიათ 26 კაცი. ისკიულის მაზრაში მრისხანებს კორნეტი მელინსკი თავის დრაგუნებით. ესენი დადიან კარდა-კარ, სჩხრეკენ, ზოგს ჰხვრეტენ, ზოგს სცემენ და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აპატიმრებენ. ბალდონში დახვრიტეს ორი კაცი: ერთი რუსი და ერთი ლატიში.

დრაგუნებმა დახვრიტეს ერთი მედავითნე, რატსენი. ეს მედავითნე ვიღაცის დაბეზღებით დაიჭირეს, მიაბეს ტელეფონის ბოძს და ცოლისა და შვიდ პატარა შვილის თვალწინ დახვრიტეს. ვერც მღვდლის მუდარებამ, რომელიც მიიჭრა ჯართან და არწმუნებდა, რომ მედავითნე არაფერში არ არის დამნაშავეო, ვერც ცოლ-შვილის ხვეწნამ ვერ უშველა საცოდავს.

ლატიშლები გმირულად უხვდებიან სიკვდილს. ზოსვენგენში დახვრიტეს ერთი კაცი, გვარად აუგული, დახვრეტამდე აფიცერმა უთხრა აუგულს:

— მოგვეცით ამხანაგები და თქვენ ბედს შევამსუბუქებთ.

— ბ-ნო აფიცერო,—უპასუხა აუგულმა—უბრძანეთ თქვენ ხელქვეითებს მალე დამხვრიტონ. მე თქვენთან სალაპარაკო არა მაქვს-რა.

ხალხს იჭერენ და ხვრეტენ გერმანელ ბარონების ჩვენებით, რომელნიც სცდილობენ, ჯარი გაიბრაზონ ლატიშლებზე და ამისთვის ხმებს ავრცელებენ, რომ ვითომ ლატიშლები დახოცილ სალდათების გვამებს ასახიჩრებენო. ეს ბარონები ამას წინად გერმანიაში გაიქცნენ; ეხლა-კი, როცა ჯარი მოვიდა, უკან დაბრუნდნენ და ამბობენ, გერმანიაში გაქცევა საძრახისიაო. აქ უნდა დავრჩეთ და ხალხი მავნე პროპაგანდისაგან დავიცვათო. კაი ხალხის მზრუნველები ყოფილან ბარონები.

**დურნოვოს ცირკულიარი.** გაზ. „ნაშა ჟიზნს“ გამოუქვეყნებია შემდეგი ცირკულიარი დურნოვოსი გუბერნატორების სახელზე. ცირკულიარი გამოცემულია 30 ნოემბერს 1905 წელს, ესე იგი მანიფესტის შემდეგ: „ვცნობთ რა საჭიროდ, რომ ყოველისავე საშუალებით მოვსპოთ გლეხთა წაქეზება მემამულეთა ასაკლებათ, გთხოვთ: 1. წამქეზებელნი, საქმის მოთავენი და რევოლიუციონერთა აგიტატორნი, რომელნიც სასამართლოს არ დაუპატიმრებია, დააპატიმროთ და დაუყოვნებლივ წარადგინოთ გასაგზავნათ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ; 2. არავითარი გამოძიება და დაკითხვა ამის შესახებ არ მოახდინოთ. შეადგინეთ მხოლოდ პროტოკოლები, რომელშიაც აღნიშნავთ დაპატიმრების მიზეზს და ცნობებს ბრალდების დასამტკიცებლად. თუ სასამართლო განთავისუფლებს აგიტატორებად ცნობილ პირებს, თქვენ მაინც ნუ გაანთავისუფლებთ და მოექეცით მეორე პუნქტის თანახმად; 3. თუ მასწავლებელს, ფელშერს, ერობაში მოსამსახურეს ან მოსულ პირს დააპატიმრებთ, ნურავითარ ყურადღებას ნუ მიაქცევთ პროტესტებს სხვა და სხვა კავშირებისა და დელეგაციებისას; 4. ნუ მიაქცევთ ყურადღებას კრების და მიტინგების მუქარას და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, სასტიკი ზომებით გაჰფანტეთ ხოლმე ისინი, ვინც პროტესტს აცხადებენ ენერგიული ზომებით; იარაღიც იხმარეთ კანონის თანახმად. 5. ამ პირების წარდგენა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს; 6. არ უნდა იყოს არავითარი ყოყმანი ზემოაღნიშნულის შესრულების დროს; 7. როდესაც ამ მოწერილობის აღსრულებაში მოყვანას გადასწყვეტთ, მაცნობეთ დეპეშით ორის სიტყვით: „აღსრულებულ იქნება“; დეპეშა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის სახელზე გამოგზავნეთ“. ამ ცირკულიარზე ხელი უწერია შინაგან საქმეთა მინისტრს დურნოვოს.

**„კარგი“ „ზემსკი ნაჩალნიკი.“** პოლტავის გუბერნიაში, პრილუკში დაუპატიმრებიათ, სხვათა შორის, გრაფი გალავანი,

---

სახელმწიფო სათათბიროში არჩევნებისათვის ამ პარტიამ კომიტეტის სახელით უკვე დაარიგა მოწოდებანი მუშების მიმართ. პარტია ურჩევს მუშებს შეუერთდნენ არჩევნებში, არწმუნებს, რომ პარტია და მისი კანდიდატები მუშების ინტერესებს დაიცავენ. გაზ. „ნ. ჟ.“-ი ამბობს რომ ეს პარტია თვით სახელოსნოების პატრონებმა დაარსეს და ეხლა სცდილობენ მუშების ხმით ისარგებლონო.

რა დაიხსნის მუშას ამ ათასგან გაბმულ ქსელისაგან? მხოლოდ ის, რომ კარგად შეისწავლოს სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიის პროგრამმა. აი ეხლა გამოჩნდება, რამდენად ესმის პროლეტარიატს თავისი საჭიროება და რამდენად განვითარებულია იგი, რომ გაარჩიოს თავისი პარტიები იმისთანა პარტიებისაგან, როგორიც არის „უფლებრივ წესიერების პარტია“, „ნამდვილ რუსთა კავშირი“ და „ხელოსანთა პარტია.“ ასეა თუ ისე ეხლანდელი დამახინჯებული არჩევნებიც პოლიტიკური გაკვეთილი იქნება პროლეტარიატისთვის, ისე რომ დამარცხებაც გამოსადეგი იქნება მომავლისათვის.

**

ასე, საშუალების გაურჩევლად იღწვიან რუსეთის პოლიტიკოსები, მინისტრ-პრემიერიდან დაწყებული. საუკეთესო მაგალითი ორპირობისა გრ. ვიტტემ გვაჩვენა „მეშჩანთა“ დეპუტაციის მიღების დროს. ორპირობა იქით იყვეს, ისე საკვირველად, უცნაურად იქცეოდა გრაფი დეპუტატებთან, ისეთ უცნაურ კითხვა-პასუხს იძლეოდა, რომ ძნელია ახსნა, რამ აიძულა ასეთის კილოთი ლაპარაკი? თითქოს სცდილობდა იმათ დამცირებასაც და თავის მათ მიმართ სიყვარულის გამოხატვასაც.

მივიდნენ თუ არა დეპუტატები, პირველი სიტყვა ვიტტესი იყო:

—აბა, ძმებო, რას მეტყვით?

ეს „братцы“ მაინც არ დაივიწყა გრაფმა, თუმცა მუშებმა ერთ დროს კაი პასუხი გასცეს ამაზედ. ერთმა დეპუტატმა აუხსნა მისვლის მიზეზი. უთხრა, მოვედით იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, თუ როგორ და რა საშუალებით ჩამოვაგდოთ მშვიდობიანობაო. დეპუტატის აზრით, საქმე მაშინ გასწორდება მხოლოდ, როდესაც ხელმწიფე თვითონ გაიმეორებს, რომ 17 ოქტომბერს დანაპირები რეფორმები განხორციელებულ იქნება. გრაფმა მოუთმენლად გააწყვეტინა სიტყვა დეპუტატს და სთქვა:

—რა კი ხელმწიფემ სთქვა, ასრულდება კიდეც. ჯერ არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ ხელმწიფის სურვილი არ შესრულებულიყოს.

—ეგ სულ მართალია,—უთქვამს ახლა მეორე დეპუტატს:—მაგრამ მცხოვრებლებმა გამოგვგზავნეს, რომ თვით ხელმწიფისაგან გავიგონოთ, რომ ადგილ-მამულის საკითხს არ გადასწყვეტს ეხლანდელი მთავრობა, რომელსაც ხალხი არ ენდობა.

გაზეთებში უკვე სწერდნენ,—მიუგო ვიტტემ,—რომ ამ საკითხს სათათბირო გადასწყვეტს.

მეორე კითხვა, რომელზედაც დეპუტატებს ჰქონდათ ლაპარაკი, შეეხებოდა სახელმწიფო სათათბიროს შეკრების დროს. როდესაც ერთმა დეპუტატმა ჰკითხა, როდის შეიკრიბება სახელმწიფო სათათბიროო, ვიტტემ უპასუხა, მაგას მთავრობა გამოაცხადებსო.

ასეთივე პასუხი მიიღეს დეპუტატებმა მესამე საკითხის შესახებ. ერთმა ჰკითხა, არჩევნებისა რა წესები იქნება კავკასიაშიო; ამასთან გამოსთქვა სურვილი, რომ ეკატირინოდარიდან (იქაურ „მეშჩანთა“ დეპუტატები იყვნენ ესენი) ცალკე წარმომადგენელი იყოლიოს სათათბიროში. ვიტტემ ამაზე უპასუხა: კანონი სათათბიროს შესახებ სახელმწიფო საბჭოშია და მალე გამოცხადდება კიდეცაო.

აპოგეი ვიტტეს ფამილიარობისა და „ნაჩალნიკის“ კილოსი, რომლითაც ეს დეპუტაცია მიიღო, შემდეგ სიტყვებში იყო: დეპუტატმა პოდჩიშჩაევმა გაიმეორა: „ხალხის დასამშვიდებლად საჭიროა ოფიციალურად გამოცხადებულ იქმნას, რომ გლეხებს მიწებს მიუჭრიან; წინააღმდეგ შემთხვევაში არეულობა არ დასცხრებაო“.

—თქვენ არა იცით რა,—უპასუხა პრემიერმა: საიდან უნდა ვიშოვოთ მიწა?“

—რამდენია სამონასტრო, სახელმწიფო და სხვა მიწა?—ჰკითხა დეპუტატმა.

—მაგისაც არა გცოდნიათ რა, განაგრძო თავის კილოთი გრაფმა:—ეგ მიწები სულ 6 მილიონი დესეტინაა და ნახევარიც ტყეს უჭირავს, რომლის გაკაფვაც არაფერ შემთხვევაში არ შეიძლება.

შემდეგ ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ დეპუტატებს ყველაფერი კარგა სცოდნიათ, თუმცა პრემიერი არწმუნებდა, არა გესმით რაო; თან მარტივ უბრალო საკითხებს უხსნიდა და დასასურათებლად ანეკდოტიცკი მოიყვანა. საქმე ის იყო, რომ დეპუტაცია სხვა ენაზე ლაპარაკობდა, გრაფი კიდევ სხვაზე. დეპუტატები შესაძლოდ და საჭიროდ სთვლიდნენ, რომ სახელმწიფომ თავის ხარჯით გამოისყიდოს გლეხებისთვის მიწა, ხოლო ვიტტე არა. არც მოსალოდნელი იყო ეს ვიტტესაგან, რომელიც ფინანსთა მინისტრობის დროს ხაზინის ფულს უმეტესად მსხვილ მრეწველობის განვითარებას ახმარებდა.

დასასრულ ვიტტეს ჩვეულებრივი ბიუროკრატიული გაკვეთილი მიუცია დეპუტატებისათვის.

— რევოლიუციონერებს უნდათ, რომ რუსეთს პოლონელები, „ჟიდები“ და სომხები განაგებდნენ. სხვა ქვეყნებში მეფე დამოკიდებულია „ჟიდ“ ბანკირებისაგან, ჩვენში-კი არა. მხოლოდ ჩვენმა ხელმწიფეებმა შეჰქმნეს თქვენი კეთილდღეობა. უიმათოდ აქამდის გლეხები იქნებოდით.

სრული წლოვანი ხალხი ჰგზავნის სრულ წლოვან დეპუტაციას სახელმწიფოს საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად, გრაფი-კი გაცვეთილ ლათაიებს უამბობს და ამით სცდილობს დაამშვიდოს. როდის შეიგნებს ბიუროკრატია, რომ ეხლა ამისთანა სიტყვები ხალხს სასაცილოდაც არ ეყოფა, როდის დაივიწყებს იგი თავის გაზეპირებულ ლათაიებს, რომელიც ეხლა არავის გონებამახვილად არ მიაჩნია? როდის გასწორდება, მკითხველო, რუსეთის ბიუროკრატია?

ამისთანა ლათაიების შემდეგ ვიტტემ ალბად თავის კეთილგანწყობილების დასამტკიცებლად აკოცა ერთ დეპუტატს.

საინტერესოა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ვიტტემ დეპუტატებზე, ან რას ფიქრობენ ეხლა ეკატირინოდარის „მეშჩანები“? შესაძლოდ მიაჩნიათ რუსეთის დამშვიდება, თუ არა? თუ შესაძლოდ მიაჩნიათ, უეჭველია არა ვიტტეს სიტყვების მეოხებით.

**

მართალი უნდა ვთქვათ, რომ ამგვარი პოლიტიკა ვიტტესი არსად აღარ გადის. საზოგადოებამ საკმაოდ გაიცნო პრემიერი და საუკეთესო მაჩვენებელი ამისი არის ერობათა პასუხი ვიტტეს მოწვევაზე, როდესაც მოისურვა რაღაც კომისსიის დაარსება ერობათა წარმომადგენლებისაგან. გრაფს, როგორც სატახტო ქალაქის ერთი გაზეთი გადმოგვცემს, ჩვეულებად ჰქონდა, როდესაც რისამე გაკეთება უნდოდა და საჭირო იყო ამ საქმისათვის ცოტა რამ ნდობა ხალხისა, მაშინვე რამე კომიტეტებს შეადგენდა ხოლმე. ასეთი იყო, მაგალითად, ცნობილი სასოფლო-სამეურნეო კომიტეტები, რომლის ბევრი წევრიც ადმინისტრატიულის წესით დაქსაქსეს რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში. მაშინ საზოგადოება ხამი იყო კომიტეტებისა და სახარბიელოდ სთვლიდა მონაწილეობის მიღებას იმისთანა კომიტეტებში მაინც, რომელთაც სალაპარაკო საგანი სასტიკადა აქვთ განსაზღვრული. თუ თავის გულის ნადებს სულ ვერ გამოსთქვამდა, მეთედს მაინც იტყოდა, იგავებით მაინც მიახვედრებდა ხალხს, რის თქმაც უნდა. ეხლა-კი საზოგადოება მეტს თხოულობს და ამგვარ კომიტეტების შედგენას მხოლოდ საქმის დაბანდებად სთვლის. საზოგადოება თხოულობს ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარ საკანონმდებლო კრებას და ყოველივე კომიტეტი, რომელიც ამ კრების საქმეს იკისრებს, შეაფერხებს მთავარ საქმეს. ამის შემდეგ საკვირველიც არ არის, რომ ერობათა უმრავლესობამ უარი შეუთვალა გრაფ ვიტტეს კომიტეტებში მონაწილეობის მიღებაზე. საგულისხმიეროა ის, თუ როგორ ასაბუთებს ზოგიერთი ერობა თავის უარს.

კოსტრომის ერობის წევრს საფონოვს განუცხადებია, რომ მთავრობის მხრივ 17 ოქტომბრის მანიფესტი მხოლოდ მახე იყო; ამ მანიფესტით მთავრობამ მიიმხრო ერთი ნაწილი საზოგადოებისა და თავს დაესხა დანარჩენს. ეს მანიფესტი მთავრობას ეხლა მხოლოდ ფარდათა აქვს, რომლითაც ჰფარავს თავის რეაქციონულ პოლიტიკასო. ხმოსნის აზრით დრო დადგა, რომ ყველამ სამშობლოს ხსნაზე იფიქროს; საშუალება ხსნისა-კი, ვიდრე მთავრობა რეაქციონულ გზას ადგას, მხოლოდ ერთია: დავივიწყოთ კლასსობრივი და პარტიული ინტერესები და შევაერთოთ მთელი ჩვენი ძალები. „ერობათა კრებას დიდი ტაქტიკური შეცდომა მოუვიდა, მთავრობასთან რომ მოლაპარაკება დაიწყო“,—სთქვა საფონოვმა. რასაკვირველია, ვინც ასე უცქერის თანამედროვე მდგომარეობას, ვისთვისაც მხოლოდ ერთი გზა ღა დარჩენილა ხსნისა, ის ამა თუ იმ დროებით კომიტეტებში მონაწილეობას განთავისუფლების საქმის ღალატად ჩასთვლის და ამიტომ ერობამ, რომლის წევრთა უმეტესობაც აღტაცებით მიეგება საფონოვის სიტყვას, 4 ხმის წინააღმდეგ გადასწყვიტა, ვიტტეს უარი შეუთვალოს. იქნება ამითი აიხსნება ის, რომ მთავრობამ ამას წინად გამოაცხადა: კომიტეტები საჭირო აღარ არისო.

გ. ნ.

როგორც საეჭვო პოლიტიკურის მხრით. გრაფი დისწულია გარეშე საქმეთა მინისტრისა. გრაფი ამ ბოლო დროს 3 წლის განმავლობაში „ზემსკი ნაჩალნიკად“ ყოფილა და ძალიან პატივისცემა დაუმსახურებია გლეხებისა. გლეხების პატივისცემა გრაფისადმი გამოიხატა, სხვათა შორის, იმ გრძნობიერ ადრესში, რომელიც მიართვეს გრაფს სამსახურიდან გამოსვლის დროს. ალბად ამ პატივისცემისათვის დააპატიმრეს გრაფი...

ამ ერთი თვის წინად დაპატიმრებულებს ეხლა ადმინისტრატიულის წესით სხვა და სხვა ადგილას გზავნიან. მოსკოვიდან ამას წინად სამას ვაგონით გაუგზავნიათ პოლიტიკური პატიმარნი ციმბირში. არხანგელსკიდან იტყობინებიან, რომ „პოლიტიკურ დამნაშავეთა გამოსვლა დროებით შესწყდა ამას წინად და ახლა ისევ განახლდაო. 10 იანვარს პირველი ეტაპი მისულა.

ტობოლის ციხიდან ყოველ ეტაპით ჰგზავნიან 50—40 კაცს აღმოსავლეთ ციმბირში. დარჩა სულ 250 კაცი და ამათაც მალე გაჰგზავნიან. ელიან მოსკოვიდან ახალ ეტაპს.

ფინანსთა სამინისტროში რამდენიმე მოხელე დაუთხოვნიათ. მიზეზი არ იციან.

კიევში დაუხურავთ მალოროსიული გაზეთი „გრომადსკა დუმკა“.

# დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

3 თებერვალი

**ვაშინგტონი**, 3 თებერვალი. მთავრობას თათბირი ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა საფრთხე მოელის უცხოელებს ჩინეთში. აქ ისე არიან დარწმუნებული, რომ აჯანყება ივნისს ადრე არ მოხდებაო. ორმა ჯავშნიანმა კრეისერმა ბრძანება მიიღო გაემგზავროს ჩინეთის წყლებში, სადაც უკვე გამზადებულია 3 დიდი და 10 პატარა სამხედრო გემი ამერიკელებისა.

**კიევი**, 3 თებერვალი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი განაცხადა 1864 წ. ერობის შემოღების შესახებ აღძრულ შუამდგომლობაზე, სანამ 1864 და 1900 წ. წ. ერობის დებულებანი არ იქმნება გადასინჯულიო.

**ბათუმი.** სამხედრო სასამართლომ გაანთავისუფლა კეზევაძე და დომენტი მესხიშვილი, რომელთაც მოხელე იკანოვისა და შერვაშიძის [illegible] ბრალად.

**რიგა**, 3 თებერვალი. ქალაქის ცენტრში ერთ-ერთ სახლის სარდაფში აღმოაჩინეს ბომბების საწყობი და აუარებელი ასაფეთქებელი ნივთიერება. ყველა გემებს სამხედრო კრეისერები სჩხრეკავენ, რათა იარაღი არ შემოიტანონ.

**პეტერბურგი** „პრავიტ. ვესტ.“-ში დასტამბულია: „მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული ახალი წესები, ერთის მხრით შეიცავენ საზოგადო შენიშვნას იმის შესახებ, რომ კერძო ხასიათის კრების გამართვა შეიძლება მთავრობის ნებადაურთველად და, მეორეს მხრივ, ახსნილია, თუ რასა ჰქვია საჯარო კრება, რომელიც უნდა დაემორჩილოს მისთვის დადგენილს წესრიგს. ეს კანონ-პროექტი განზრახულია შემოიღონ, როგორც დროებითი კანონი კრებების შესახებ.

„ნოვოე ვრემია“ იუწყება, 2 თებერვალს, დილის მესამე საათზე, სასტუმრო „ერმიტაჟ“-ში, რომელიც ნევსკი პროსპექტზე არის, დაიჭირეს სოც.-რევოლიუციონერ პარტიის 6 წევრი. ადგილობრივმა მეკარემ შეამჩნია, რომ ორს საეჭვო პირს მძიმე პარკები მიჰქონდათ. პოლიცია გამოუდგა იმათ და დაიჭირა ლაპშინის სახლში. მათ აღმოაჩნდათ ბევრი თოფის წამალი და პატრონები და რამდენიმე დამზადებული ბომბა. შემდეგ პოლიცია იჭერდა ყველას, ვინც უკვე დაჭერილების ბინაზე მიდიოდნენ. ერთი სტუდენტი გაიქცა. დაჭერილების ბინა გაჩხრიკეს და იპოვნეს ფუთ-ნახევრამდე თოფის წამალი, ბევრი პატრონი და ქილები, რომელსაც ბომბებისათვის ხმარობდნენ. „ერმიტაჟ“-ში მთელი ღამე მორიგეობდნენ საიდუმლო პოლიციის წევრები. ორი მთავარ დაჭერილთაგანი ორი კვირა, რაც ამ ბინაზე ცხოვრობდნენ და ხვალ მოსკოვისაკენ უნდა წასულიყვნენ.

**სტამბოლი**, 3 თებერვალი. სპარსეთთან კონფლიკტი მწვავდება, რადგანაც ოსმალეთი უარს ამბობს გასწმინდოს ის ადგილი საზღვართან, რომელიც სპარსეთის მიწა-წყლის ნაწილია პოლიტიკურ წრეებში ეშინიათ, ვაი თუ შეიარაღებული შეტაკება მოხდესო.

**ბრიუსელი**, 3 თებერვალი. სამოსამართლო პალატაში გაარჩიეს საქმე ორი რუსისა, რომელნიც ბელგიაში დაატუსაღეს ბინაზე იარაღის საწყობის აღმოჩენის გამო. პალატამ დაადგინა, რომ შეთქმულობა არ ყოფილა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგო; ამიტომ იმათ გაასამართლებენ, როგორც ბელგიაში შემომტანთ ნება-დაურთველად. დაჭერილებს განთავისუფლებენ.

**ბელოსტოკი**, 4 თებერვალი. ცნობები მოდის, რომ ბევრს მემამულეს ეშინიან აგრარულ მოძრაობისა და ამიტომ სცდილობს გაასაღოს მამული და ტყეები.

**ნოვოჩერკასკი.** პალატამ ერთის წლის ციხე გადაუწყვიტა მაზურენკოს, რომელიც აგიტაციას ეწეოდა გლეხთა კავშირის სახელით.

**მიტავა.** დონდანგენში მისულმა სამხედრო რაზმმა დახვრიტა 4, ჩამოახრჩო ორი და გადასწვა რამდენიმე გლეხის კარ-მიდამო. გადასწვეს აგრეთვე მომხმარებელთა საზოგადოება, რომელიც ბუდედ ითვლებოდა რევოლიუციისა.

**ბელოსტოკი.** ტულკის სადალაქოში იფეთქა რაღაც კოლოფმა. ტულკოს სიტყვით, კოლოფი ფანჯარაში შეაგდეს. არავინ არ დაშავებულა.

**ეკატერინბურგი**, 4 თებერვალი. ზოგიერთ ქარხნებზე ნოემბერში შემოღებული 9 საათი სამუშაო დრო და აწეული ხელფასი მუშებისათვის უკვე ისპობა და ძალაში შედის ძველი წეს-რიგი. განზრახვაა დაჰკეტონ რამდენიმე ქარხანა.

5 თებერვალი

**პეტერბურგი.** გამოვიდა პირველი № დამოუკიდებელ, არა პარტიულ ორგანოსი, რომელსაც სახელად „პოლიტიჩესკი სმისლ“-ი ჰქვია. რედაქტორ-გამომცემელი დ. ვ. ბაგნიცკია.

**მოსკოვი.** ბოგოროდსკიდან ჩამოიყვანეს 120 პოლიტიკური ტუსაღი, რომელნიც ბუტირსკი ციხეში გაჰგზავნეს.

**სიმფეროპოლი**, 4 თებერვალი. მელიტოპოლის მაზრაში გაჰქურდეს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა.

**ბორისოვი.** გენ.-გუბერნატორის განცხადებაში ნათქვამია, რომ ვინც წესიერებას დაარღვევს და კერძო საკუთრებას შეეხება, იგი სამხედრო ძალით იქნება დასჯილიო.

**გომელი**, 4 თებერვალი. დაბა ვეტკაში ებრაელებს ჰკლეპენ. დაბას ცეცხლი უკიდია. გაიგზავნა ჯარი.

**კრემენჩუგი.** გენ.-გუბერნატორის ბრძანებით არხანგელსკის გუბერნიაში გაიგზავნა 6 გლეხი, რომელთაც აგიტაცია ედებოდა ბრალად.

**სევასტოპოლი.** 7 თებერვალს გაირჩევა ოჩაკოვზე საქმე ლეიტ. შმიდტისა, ადესის უნივერსიტეტის სტუდენტების პიატინისა და მოისეევისა, კონდუქტორ ჩასტნიკისა, გლეხის იალიჩისა და 36 მატროსისა.

**ვარშავა**, 5 თებერვალი. არეის დუქნის კასირ ორლოვს წაართვეს მძარცველებმა 4066 მ. სახელმწიფო ფული.—ტრამვაის ვაგონზე კონდუქტორს მიუვარდნენ და წაართვეს ფულიანი პარკი.

**ხარკოვი.** შიმშილი თავს იჩენს.

**სამარა.** ჩაიარა პეტერბურგს მიმავალმა რაზმმა მელერ-ზაკომელსკისამ, რომელმაც აღადგინა მოძრაობა რიაზსკსა და ჩიტას შორის. არიან დახვრეტილები. ბევრი დაჭერილია, მეტადრე რკინ. გზის მოსამსახურეებში. ყველაზედ დიდი წინააღმდეგობა რაზმს კრასნოიარსკისა და ილანსკი სადგურებზე გაუწიეს.

**სევასტოპოლი.** 5 თებერვალი. სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა. „პოტიომკინ“-ზე არეულობის მოხდენის შესახებ: 25 კაცი გაამართლეს, 3 ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, 32 ტუსაღთა როტაში გაგზავნა მიუსაჯეს, სამს კატორღა 7-დან 20 წლამდე, ერთს ღირსება ახადეს და 3 თვის ციხე გადაუწყვიტეს. პრაპორშჩიკი ალექსეევი სამსახურიდან დაითხოვეს, კოლეჟური დისციპლინარულის წესით გადააყენეს და ექიმს ვოლენკოსა და ბოცმანს ღირსებები ჩამოართვეს და სამსახურიდან გადააყენეს. [illegible], თანხმად 21 ოქტომბრის მანიფესტისა, იშუამდგომლონ ჩამოხრჩობის კატორღად შეცვლისა და დანარჩენებისათვის სასჯელის ნახევრად შემოკლებაზე. აგრეთვე უნდა სთხოვონ მთავარ კამანდირს, გაანთავისუფლოს სასჯელისაგან მატროსი კომენკო, რომელმაც ორივე ფეხი დაჰკარგა ოჩაკოვზე.

**მიტავა.** კურლიანდიის ზოგიერთ ადგილებში გაკრულია გენ.-გუბერნატორის განკარგულება, რომელშიაც ითხოვს, რომ გამოცხადდნენ განსაზღვრულ ვადაზე ყველა მეამბოხენი, თორემ მათს მამულებსა და სახლკარს გადავწვავთო.

## პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

4 თებერვალი

**პეტერბურგი**, 2 თებერვალი. სახალხო განათლების სამინისტრომ გააუქმა განკარგულება, რომლის ძალით საშუალო სასწავლებლებში კურსდამთავრებულთ ეძლეოდათ კონდუიტი, სადაც მათი უკანასკნელ 3 წლის ყოფაქცევა უნდა ყოფილიყო მოხსენებული. საყოველთაო სწავლების შემოღება გადაწყდა უმაღლეს წრეებსა და სახალხო განათლების სამინისტროში. საყოველთაო სწავლება მიმდინარე წელს შემოღებულ იქნება მოსკოვის გუბერნიის რამდენსამე მაზრაში.

**ადესა**, 3 თებერვალი. შმიდტის დამცველებმა ზარუდნიმა და პერგამენტმა უარი განაცხადეს პროცესში მონაწილეობაზე, რადგანაც დაცვა გაასაზღვრეს იმითი, რომ არ მისცეს ნება მოწმეების გამოწვევისა და ექსპერტიზის დანიშვნისა.

**სევასტოპოლი**, 3 თებერვალი. შმიდტის დამცველებმა შუამდგომლობა აღძრეს სამხედრო-საზღვაო სასამართლოს წინაშე, დაუყოვნებლივ გაასინჯოს ბრალდებული, ვინაიდან დამცველ[ებს] ცნობა მოსვლიათ ოჩაკოვიდან, რომ შმიდტი ჭკუაზე შეცდაო.

**ადესა**, 4 თებერვალი. „პოტიომკინ“-ის საქმის გამოძიება დასრულდა. 3 თებერვალს კამათი დაიწყო. განაჩენს ხვალ მოელიან.

**რიგა**, 4 თებერვალი. ალექსანდროვსკი ქუჩაზე ქარხანა უნიონის მეარტელეს 7 შეიარაღებული კაცი დაეცა და 11,000 მან. წაართვა.

**ყაზანი.** „ობნოვლენიე“-ს სიტყვით, რკინის გზის სადგურზე დაჭერილი რამდენიმე ყუთი იარაღი იჟევსკი ქარხნიდან იგზავნებოდა შემდეგის ზედწარწერით: „სანადირო თოფები“. როცა ზოგიერთი ყუთი გახსნეს, შიგ ყაზახ-რუსების ვინტოვკები იპოვნეს.

**ლონდონი**, 4 თებერვალი. გენერალმა რობერტსმა მანიფესტი გამოსცა ეროვნულ თავდაცვის ლიგაში, რომელიც მოუწოდებს ყველას, ვისაც იარაღის ხმარება შეუძლია, ივარჯიშონ სამას ან 4 თვის განმავლობაში. მანიფესტი წინადადებას იძლევა, თოფის სროლა ასწავლონ ყველა მოსწავლეებს.

**ფიუმე**, 4 თებერვალი. სადამოს კიდევ მოხდა შეტაკება გაფიცულ მუშებსა და ჟანდარმებს შორის გამოიწვიეს ჯარი, რომელმაც ჰაერში თოფის დაცლით გაჰფანტა მუშები. რადგანაც დამქირავებლებმა დააკმაყოფილეს მუშები ამიტომ უკანასკნელნი საქმეს დაადგნენ.

**პეკინი.** იმპერატორის ძმას პრინც ჩუნს ვაჟი შეეძინა, რომელიც ტახტის მემკვიდრე იქნება ალბათ.

**უმანი**, 4 თებერვალი. დღეს ღამით შეიჭრნენ ხაზინაში მძარცველები, მოჰკლეს სამი მოხელე და გაიტაცეს 180,000 მანეთი ხაზინისა და 40,000 მანეთი ერობის ფული.

**ტეჯენი**, 4 თებერვალი. მცხოვრებლები გაჩხრიკეს, იარაღს ართმევენ. ჩხრეკას განაგრძობენ რკინის გზის სადგურებზე. რკინის გზაზე მოსამსახურეებს, რომელნიც ამას წინად შეიარაღდნენ, იარაღს აცლის რკ. გზის ადმინისტრაცია.

**პეტერბურგი**, 4 თებერვალი. ოფიციალური. 3 თებერვალს გენ. გროდეკოვი შეუდგა იმ თანამდებობის ასრულებას, რომელსაც ასრულებდა გენ. ლინევიჩი. ეს უკანასკნელი სამსახურიდან გადადგა თანახმად 2 იანვრის უმაღლესის რესკრიპტისა.

**პეტერბურგი**, 3 თებერვალი. გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება 2 თებერვლის თარიღით, რომელშიაც მტკიცდება კავკასიაში სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევნების წესები. საარჩევნო საქმის წარმოების დროს დაწესება მოენდო კავკასიის ნამესტნიკს.

**ვლადივოსტოკი**, 3 თებერვალი. გენ. მიშჩენკოს ბრძანებით ძლიერს პასუხის გებაში იქნება მიცემული, ვინც არეულობას მოახდენს. ქალაქში მოვიდა აუარებელი ჯარი—ყაზახები და პლასტუნები. წესიერებას აღადგენენ.

**პეტერბურგი**, 4 თებერვალი. ხელმწიფემ შემდეგი უთხრა ტულისა და ტამბოვის თავადაზნაურთა დეპუტაციას: „გულითადს მადლობას გიცხადებთ თქვენს [illegible] გრძნობა[illegible]თვის. თქვენს შუამდგომლობას სახეში მივიღებ. თავის დროზე განვახორციელებ სულ ყველაფერს, რაც შესაძლებელი და სასარგებლო იქნება. თქვენ კარგათ იცით, თუ რა ძვირფასია ჩემთვის ყველა წოდებათა ინტერესები, მეტადრე თავად აზნაურთა, მაგრამ ამჟამად მე ყველაზე მეტად მაწუხებს გლეხების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება და მათი სადგილ-მამულო გაჭირვების შემსუბუქება იმ პირობით კი, რომ კერძო საკუთრება უსათუოდ იყოს დაცული.

**ნიკოლაევი**, 4 თებერვალი. დაატუსაღეს უფროსი სამხედრო-საზღვაო პროკურორი, საზოგადო მოღვაწე კორიაკოვი.

**სევასტოპოლი.** შმიდტის დამცველებს უარი უთხრეს ბრალდებულის ხელმეორეთ გასინჯვაზე.

**ლონდონი**, 4 თებერვალი. ოსმალეთის მიერ უარის განცხადება ტაბადან ჯარის გაყვანაზე ძლიერ ართულებს საქმეს. ბრიტანეთის მთავრობამ დიპლომატიური წარდგენა გაუგზავნა პორტას და ბრიტანეთის ატაშე ეგვიპტის ჯართან სინაიში წავიდა; იქითკენვე წავიდა კრეისერი „დიანა“. კონფლიქტის ჩამოგდება ტელეგრაფის ბრალია. პორტამ უბრძანა გუბერნატორს დახა დაეჭირა, ტელეგრაფმა კიდევ დახის მაგიერ ტაბა გადასცა. მაგრამ ოსმალეთის ჯარი მაინც არ ანებებს თავს ტაბას.

**პეტერბურგი**, 4 თებერვალი. დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან გენ. კუროპატკინი, გენ. ბატიანოვი და მიწათ-მოწყობის მთავარი მმართველი კუტლერი. უკანასკნელის ადგილზე დროებით ინიშნება მისი ამხანაგი კრივოშეინი.

**რიგა**, 4 თებერვალი. მალოიაროსლავსკი პოლკმა რევოლიუციონერებისთვის წართმეული 5 ურემი იარაღი ჩააბარა ადმინისტრაციას. სხვათა შორის ჩააბარა აგრეთვე ერთი დიდი ზარბაზანი.

**ადესა.** შმიდტის დამცველთ გაიგეს, რომ ოჩაკოვის პროცესი 7 თებერვალს დაიწყება.

**პარიზი.** „მატენ“-ი იუწყება, როდოვეცისთვის გადაცემულ ბარათში, რომელიც ორი პარაგრაფიდან შედგება, პირველ პარაგრაფში ნახსენებია, რომ საფრანგეთი თანახმაა, მაროკოს სულთანის სუვერენიტეტის გამოცხადების გამო, მიანდოს მას პოლიციის მოწყობა იმ პირობით, რომ ის აფიცრები, რომელნიც სულთანის სახელით შეუდგებიან პოლიციის მოწყობას, იყვნენ საფრანგეთისა ან ესპანიის ეროვნებისა. მეორე პარაგრაფი წინადადებას იძლევა სჯა-ბაასი იქონიონ ამ პოლიციის კონტროლის საქმის მოწყობაზე. კონტროლს იტალიას მიანდობენ.

**მიტავა**, [illegible] თებერვალი. სადამოს 7 საათზე შეიარაღებული პირნი დაეცნენ პასტორატს, პასტორი ზენგერი და მისი ცოლი იყვნენ [illegible] დამსხმელთ გაიტაცეს 200 მ. და მიიმალნენ.

**როსილდე**, 5 თებერვალი. დღეს, ნაშუადღევის ორის ნახევარ საათზე, დაასაფლავეს მეფე ხრისტიანე.

**პეტერბურგი**, 5 თებერვალი. „ტორგოვო-პრომიშლენნი გაზეტა“-ს აუწყებენ, რომ ჩითის 1/4 კაპ. მოუმატეს ივანოვო-ვოზნესენსკის ფაბრიკებმა.

**ვარშავა.** ბელოსტოკის ქუჩაზე თავს დაეცნენ სახელმწიფო საარყე დუქნის კასირს და წაართვეს 4000 მან.

**კიევი.** „პორტ-არტურ“-ის სასტუმროში დაიჭირეს ავაზაკების ბრბო, რომელიც რევოლიუციონერების სახელით, ფულს სტყუებდა მცხოვრებთ. 8 კაცთან ერთად დაჭერილია მეთაური პალჩევსკი, რომელსაც ორი მუქარის წერილი უპოვნეს მცხოვრებლებთან. ერთს აწერია „ანარქისტები“, მეორეს—„კომუნისტები“.

**მოსკოვი.** ტრუბნიკოვსკი შესახვევში დაატუსაღეს კურსისტკა, რომლის ბინაზე იპოვნეს ბომბები და ბომბის დასამზადებელი მასალა.

**პეტერბურგი.** „ერმიტაჟ“-ში დაჭერილ კაცების შესახებ „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ ყველა დაჭერილები ანარქისტების პარტიისანი არიან და ვინმე-ვინმეს მოკვლას აპირებდნენო. ჯერ-ჯერობით დაიჭირეს 20 კაცი. ჭერას განაგრძობენ.

გუშინ ვვედენსკი გიმნაზიის უკანა კიბეზე, ინსპექტორისა და დირექტორის ბინებთან, ორი აფეთქება მოხდა. მსუბუქად დაიჭრნენ დირექტორის და ინსპექტორის მოსამსახურენი.

რადგანაც ფინლიანდიაში გახშირდა საწყობებიდან ასაფეთქებელ მასალის ქურდობა, ამიტომ გენ.-გუბერნატორმა წინადადება მისცა ფინლიანდიის სენატს, მოილაპარაკოს იმაზე, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული ქურდობის თავიდან ასაცილებლად.

**მოსკოვი.** რადგანაც ერობის ექიმები იმუქრებიან სამსახურიდან გავალთო, ამიტომ ბევრი ექიმი თხოულობს მათ ადგილებს.

**რომი.** პაპმა მოწოდებით მიმართა საფრანგეთის კათოლიკე სამღვდელოებასა და ეპისკოპოსებს, შეურთდით ხალხს რელიგიის დასაცველადო.

**კიახტა.** სარევოლიუციო მოძრაობამ აქაც იჩინა თავი. დაიჭირეს რამდენიმე კაცი. ჭერას განაგრძობენ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. ჯაბადარი.

---

# განცხადებანი

„ცნობის ფურცელზე“

ხელის მოწერა მიიღება: **ჭიათურაში** ბ-ნ **სოფ. ტარიელიშვილთან** ჭიათურის საურთიერთო კრედიტის ბანკში. იქვე იყიდება ცალკე ნომრები. **ქუთაისში** ბ-ნ ის. კვიცარიძესთან. იქვე იყიდება ცალკე ნომრები.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

ოთხი წიგნი

!!!ნერგი!!!

ოთხი წლისათვის საკითხავი, საწერი და საგრამატიკო მასალით ანბანითურთ, —სკოლებში, ოჯახებში და მოზრდილთათვის სახმარად. შეიცავენ რჩეულ წერილებს ძნელი სიტყვების განმარტებით.

თვითეული წიგნი ღირს 20 კაპეიკი გაგზავნით. წიგნით მოვაჭრეებს და სკოლებს დაეთმობათ 15 კაპეიკად. გასაცნობად გამწერთ შეუძლიანთ წიგნების ფასი მარკებით გამოგზავნონ. მზადდება მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე წლების წიგნებიც ამავე სახელით. ადრესი: въ Тифлисъ, Тумановскiй пер. 38. Ивану Павловичу Ростомашвили.

აქვე იყიდება სახლი, ცხრა ოთახი და სარდაფი 80 საჟენი მიწით, ბანკის ვალი 3600 მანეთი, დასამატი 2400 მანეთი. წყნარი ადგილი და სუფთა ჰაერია. (10—6)

# იყიდება და იჯარით იძლევა

ყველა საჭირო მანქანები და მოწყობილობანი ორთქლით სახერხ ქარხნისთვის. მოლაპარაკება შეიძლება „ძმ. ცოვიანოვების და ამხ.“-ს სავაჭრო სახლის საქმეების ადმინისტრაციის განყოფილებაში, ზუბალოვის ქ., № 6. (2—41—2)

კონფეტის ფაბრიკის „ფრიდონ“-ის ამხანაგობა

ამით აცხადებს, რომ ბ. ბოლდან (ბახში) მოსეს ძე ტერ-არაქელოვი აღარ მსახურებს ხსენებულ ფაბრიკაში, ამიტომ შემკვეთელთ სთხოვს „ამხანაგობა“ პირდაპირ ფაბრიკას მიმართონ. (3—2)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ცელულოიდურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ იოხველი. მიხეილის ქ. № 90. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—32)

# განცხადება

## საგლეხო სადგილ-მამულო ბანკისა.

ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების და მისს იმპერატორებით უდიდებულესობის კავკასიის ნამესტნიკის შორის მომხდარ შეთანხმების ძალით ქალაქ ტფილისში იხსნება ამიერ-კავკასიის განყოფილება საგლეხო სადგილ-მამულო ბანკისა; ბანკი იმოქმედებს ამიერ-კავკასიის იმ ადგილებში, რომელიც ექვემდებარება კავკასიის საერთო სამოქალაქო მმართველობას, ესე იგი ტფილისის, ქუთაისის, ბაქოს, განჯის და ერევნის გუბერნიებში. ზემოხსენებული განყოფილება შეუდგება მოქმედებას 1906 წ. თებერვლის 15 დან. (5—43—1).

открыта подписка на 1906 годъ

на ежедневную политическую литературную и экономическую газету

# „НОВОСТИ“

(Подъ редакціей О. К. НОТОВИЧА)

вмѣстѣ съ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫМЪ иллюстрирован., художест. и литератур. журналомъ

## „Петербургская жизнь“

заключающимъ въ себѣ, кромѣ литературно-худежественныхъ отдѣловъ:

Медико-гигіеническое обозрѣніе

(Эскулапъ)

ТЕХНИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ.

(Новѣйшія открытія и изобрѣтен., успѣхи пром. и торг. въ связи съ успѣхами наукъ, просвѣщ. и техники)

**Новѣйшія моды и спортъ**

*и Естественно-научное обозрѣніе*

(„Природа и хозяйство“: естеств. науки, сельское хозяйство, садоводство и т. д.) Обширный матеріалъ по гигіенѣ и медицинѣ, домоводству, сельскому хозяйству, техникѣ и, вообще, для цѣлей самообразованія.

Съ цѣлью сдѣлать 1-е (большое) изданіе „НОВОСТЕЙ“ доступнымъ для болѣе широкихъ круговъ читателей

цѣна этого изданія

***ПОНИЖЕНА на 5 руб.—съ 17 руб. до 12 руб.***

для городскихъ и иногородныхъ подписчиковъ.

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА

*I-го (большаго) изданія*

ДЛЯ ГОРОДСКИХЪ и ИНОГОРОДСКИХЪ:

| На годъ | 11 мѣс. | 10 мѣэ. | 9 ммѣ. | 8 мѣс. | 7 мѣс. |
|---|---|---|---|---|---|
| р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. |
| 12 — | 11 25 | 10 75 | 10 — | 9 — | 8 — |
| 6 мѣс. | 5 мѣс. | 4 мѣс. | 3 мѣс. | 2 мѣс. | 1 мѣс. |
| р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. |
| 7 — | 6 — | 5 — | 4 — | 2 70 | 1 40 |

ЗА ГРАНИЦУ:

| На годъ | 11 мѣс. | 10 мѣс. | 9 мѣс. | 8 мѣс. | 7 мѣс. |
|---|---|---|---|---|---|
| р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. |
| 20 — | 19 — | 18 — | 17 — | 15 — | 13 — |
| 6 мѣс. | 5 мѣо. | 4 мѣс. | 3 мѣс. | 2 мѣс. | 1 мѣс. |
| р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. |
| 11 — | 10 — | 8 — | 6 — | 4 — | 2 — |

*II-го (малаго) изданія*

ДЛЯ ГОРОДСКИХЪ ПОДПИСЧИКОВЪ

| На годъ | 6 мѣс. | 3 мѣс. | 1 мѣс. |
|---|---|---|---|
| р. к. | р. к. | р. к. | р. к. |
| 6. — | 3 — | 1 50 | — 60 |

ДЛЯ ИНОГОРОДНИХЪ ПОДПИСЧИКОВЪ

| На годъ | 6 мѣс. | 3 мѣс. | 1 мѣс. |
|---|---|---|---|
| р. к. | р. к. | р. к. | р. к. |
| 7 — | 3 50 | 1 75 | — 60 |

Подписка принимается только 1-го числа каждаго мѣсяца.

**Подписка на 1 годъ считается только съ 1-го января по по 1-е января.**

РАЗРОЧКА допускается только на I-е изданіе съ перваго января на годъ; при подпискѣ—4, руб., въ мартѣ—4 руб. и въ іюлѣ 4 р при подпискѣ на время менѣе года разрочка не допускается.

**Отдѣльная подписная цѣна журнала „ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ“:**

безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 руб., на 6 мѣс.—3 руб., на 3 мѣс.—1 руб. 75 коп. Съ доставкою и пересылкою: на 1 годъ—6 руб., на 6 мѣс.—3 руб., на 2 мѣс. 1 руб.

**Подписныя деньги прилагаются, по возможности, почтовыми переводами, по адресу: Главной контор газ. „НОВОСТИ“ Спб., Кирочная 24.**

Городская контора газ. „НОВОСТИ“. Спб., Невскій пр., 30. Телефонъ 787.

Редакторъ *О. К. Нотовичъ* Издатель *Ю. Б. Бакъ* (5—5)

ელექტრომბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა.

[illegible] ტელეფონი № 372